საქართველოს პროკურატურის

2023 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 1
სისხლისსამართლებრივი დევნა 1
სრულწლოვანთა განრიდება 8
აღკვეთის ღონისძიებები 10
სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა 16
სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა 23
არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 25
პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 36
გამოძიების დაწყება 36
სისხლისსამართლებრივი დევნა 38
განაჩენები 40
ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა 41
ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა 41
კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 48
კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 56
არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა 60
იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება 62
ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა 64
ნარკორეალიზატორები 66
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა 68
შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა 70
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა 73
ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირება 74
ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ოჯახური დანაშაული 75
გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება 78
ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია 79
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები 82

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა.....85
საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა.....87
საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება 87
საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სახელმძღვანელო 88
განხორციელებული კვლევები 88
ციფრული ტრანსფორმაცია 88
ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 89
სტაჟირების სისტემა 90
პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.....91
საერთაშორისო თანამშრომლობა.....93
ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, GRECO-ს
რეკომენდაციის შესრულება 93
პროკურატურის მონაწილეობა ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულებაში 94
ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგი (HRD) 95
რეგიონული სამუშაო შეხვედრა ქონების მოძიების, ჩამორთმევის, მართვის, საერთაშორისო
და უწყებათაშორისი თანამშრომლობის საკითხებზე 95
საერთაშორისო თანამშრომლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები 96
ონლაინ მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობა 96
ექსტრადიცია 96
საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა 97
საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები.....97
კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო.....97
სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო.....98
რანგირების საბჭო.....98
სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო.....99
ციფრული ტრანსფორმაციის საკოორდინაციო საბჭო.....102
გენერალური ინსპექცია.....102
საზოგადოებასთან ურთიერთობა 103
მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 103
საჯარო ინფორმაციის გაცემა.....109
საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება.....111

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება.....111
საქართველოს პროკურატურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.....112
საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება 112

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა

სისხლისსამართლებრივი დევნა პროკურატურის ექსკლუზიური და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა, რომლის უზრუნველსაყოფად ახორციელებს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობას.

2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 21613 პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



2023 წელს დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 260-ე და 151-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე.

რაც შეეხება გასული წლის მონაცემებს, 2022 წელს პირველ ადგილზე იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე დაწყებული დევნის მაჩვენებლები, მეორე და მესამე ადგილზე კი 151-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები. 2019-2021 წლებში კი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლების მიხედვით, პირველ და მეორე ადგილებზე იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე და 126[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში (2023 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში (2022 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
(2021 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში (2020 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი
მუხლობრივ ჭრილში
(2019 წელი)



სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყეტა დევნის დაწყებასთან ერთად პროკურატურის ექსკლუზიური ფუნქციაა.

2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა 271 პირის მიმართ, დევნის შეწყვეტის მაჩვენებლები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგია:

სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში
(2023 წელი)



დაზარალებული პირები

2023 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 18277 პირი. 2023 წელს ყველაზე მეტი პირი დაზარალდა სსკ-ის 177-ე, 151-ე და 126¹ მუხლით ჩადენილი დანაშაულის შედეგად.

დაზარალებული პირები სსკ-ის მუხლების მიხედვით
(2023 წელი)



სრულწლოვანთა განრიდება

საქართველოს პროკურატურა, კანონით დაკისრებული ფუნქციების შესრულებისას, ხელმძღვანელობს სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესების შესაბამისად, ვინაიდან პროკურორის თითოეული გადაწყვეტილება გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბრალდებულზე და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეებზე, არამედ საზოგადოებაზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურატურა აანალიზებს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და ცალკეული დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ პრიორიტეტულად იყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს - განრიდებას.

განრიდება, ძირითად შემთხვევებში, გამოიყენება ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელი, არაძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების მექანიზმის გამოყენებისას, მხედველობაში მიიღება დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის პიროვნული მახასიათებლები და სხვა. განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც დანაშაულის შედეგად დადგა მძიმე ან/და გამოუსწორებელი ზიანი.
2022 წელს პროკურატურის თანამშრომლებისთვის მომზადდა სახელმძღვანელო მითითებები „სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლისა და დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების თაობაზე“ და „სისხლის სამართლის კოდექსის 265-ე მუხლის პირველ ნაწილზე და 273[1] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებზე განრიდების გამოყენების თაობაზე“. სახელმძღვანელო მითითებების დანერგვამ ხელი შეუწყო შემაჯამებელი გადაწყვეტილებების კიდევ უფრო დროულად მიღებას, ადამიანური და ფინანსური რესურსის ოპტიმალურად გამოყენებას.
აღნიშნული სახელმძღვანელო მითითებების პრაქტიკაში იმპლემენტირებამ საგრძნობლად გააუმჯობესა განრიდების გამოყენების პრაქტიკა და გაზარდა განრიდებულ სრულწლოვან პირთა რაოდენობა.

2023 წელს განრიდება გამოყენებულ იქნა 3550 სრულწლოვანი (21 წელს ზევით) პირის მიმართ, რომელთაგან 3158 პირი განრიდდა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულზე, ხოლო 392 პირი - მძიმე კატეგორიის დანაშაულზე. აღსანიშნავია, რომ დევნის ალტერნატიული მექანიზმი ძირითადად გამოიყენება ნაკლენად მძიმე კატეგორიის და არაძალადობრივი (ქურდობა, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა) დანაშაულების ჩადენის შემთხვევაში.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად გამოიყენება განრიდების მექანიზმი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:[1]

ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულები, რომლებზეც ყველაზე ხშირად იქნა გამოყენებული განრიდება (2023 წელი)



რაც შეეხება მძიმე კატეგორიის დანაშაულებს, განრიდება ყველაზე ხშირად არაძალადობრივ ეკონომიკურ დანაშაულებზე გამოიყენება. მუხლობრივი სტატისტიკური მონაცემები შემდეგია:

[1] განრიდებულ პირთა რაოდენობა სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით დათვლილია შემდეგი პრინციპით: თუ საქმეში ფიგურირებს ორი და მეტი დანაშაული და განსარიდებელი პირი ერთია, თითოეულ მუხლზე პირთა რაოდენობა ფიქსირდება ცალ-ცალკე.



აღკვეთის ღონისძიებები

საქართველოს პროკურატურა, ბრალდებულთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებათა მოთხოვნის შესახებ სტატისტიკური მონაცემების დამუშავების მიზნით, ეყრდნობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონაცემებს.

საქართველოს პროკურატურის მიერ დამუშავდა მოთხოვნილი საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები. კერძოდ, დათვლილ იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობები, რომლებიც სასამართლომ განიხილა.

სასამართლოს მიერ განხილულ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობების რაოდენობა და, მათ შორის, ამ შუამდგომლობებით მოთხოვნილ საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებათა თანაფარდობა შემდეგია:



ანგარიშისთვის ასევე დამუშავდა პროკურატურის მიერ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ სასამართლოში წარდგენილი ის შუამდგომლობები, რომლებიც არ იქნა სასამართლოს მიერ განხილული ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ შუამდგომლობის წარდგენის გამო.

სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების გაფორმების გამო განუხილველად დატოვებული შუამდგომლობებიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების შესახებ მონაცემები შემდეგია:



სასამართლოს მიერ განხილული და საპროცესო შეთანხმების გაფორმების საფუძვლით განუხილველად დატოვებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



ანგარიშისთვის ასევე, დამუშავდა განრიდების სტატისტიკური მაჩვენებლები. კერძოდ, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების რაოდენობას დაემატა იმ პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც განრიდების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გარეშე. ასევე, დაემატა იმ ბრალდებულთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა იყო დაწყებული განრიდებამდე, თუმცა, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით პროკურატურას სასამართლოსთვის არ მიუმართავს.

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



წარმოდგენილი ანგარიშისთვის გაანალიზდა ოჯახურ და სხვა დანაშაულებზე საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებლები, როგორც სასამართლოს მიერ განხილული შუამდგომლობების, ასევე, იმ შუამდგომლობების მიხედვით, რომლებშიც ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, განუხილველი დარჩა აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ შუამდგომლობა. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:



ასევე, მნიშვნელოვანია ოჯახურ და არაოჯახურ დანაშაულთა საერთო რაოდენობიდან საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებების მოთხოვნის თანაფარდობა. ამ მონაცემთა ანალიზის შედეგად დგინდება, რომ 2022 წლის მონაცემებთან შედარებით 2023 წელს 2%-ით გაიზარდა ოჯახურ დანაშაულებზე მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი.



რაც შეეხება არაოჯახურ დანაშაულებს, 2014-2018 წლებში არაოჯახურ დანაშაულებზე შეინიშნებოდა პატიმრობის მოთხოვნის კლება. 2019-2020 წლებში გამოვლინდა მცირე ზრდის ტენდენცია, ხოლო 2021-2023 წლებში აღნიშნული ისევ მაჩვენებელი შემცირებულია.



2010 წლიდან პროკურორების მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების შუამდგომლობათა დაკმაყოფილების მაჩვენებლები შემდეგია:



რაც შეეხება მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებლებს, 2010 წლიდან დღემდე მონაცემები შემდეგია:



წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ 2020-2021 წლებთან შედარებით, 2022-2023 წლებში მცირედით გაზრდილია შუამდგომლობების სრულად დაკმაყოფილების მაჩვენებელი, ხოლო ასევე მცირედით შემცირებულია ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევათა პროცენტული მაჩვენებელი. აღნიშნული აიხსნება პროკურორების მიერ შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებით, რასაც მნიშვნელოვნად განპირობებულია ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების თემატიკაზე პროკურორთა კასკადური გადამზადებით. ტრენინგის მიზანი იყო ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის გაზრდა.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

2023 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 16270 პირის მიმართ. წლების მიხედვით გამოტანილი განაჩენების რაოდენობა შემდეგია:



მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს 16270 პირის მიმართ გამოტანილი განაჩენიდან 72,7% დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წინა წლების მსგავსად 2023 წელს შენარჩუნდა საპროცესო შეთანხმებით საქმეთა დასრულების ზრდის დინამიკა.

წლების მიხედვით მონაცემები შემდეგია:

არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები



2023 წელს, წინა წლების მსგავსად, შენარჩუნდა გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაღალი მაჩვენებელი. კერძოდ, 2023 წელს ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე გაფორმდა აღნიშნულ პერიოდში სულ გაფორმებული საპროცესო შეთანხმებების 60,3%.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების სამართალწარმოების ადრეულ ეტაპზე (ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომაზე) გაფორმება ხელს უწყობს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას და, ამავდროულად, ზოგავს როგორც პროკურატურის, ისე სასამართლო სისტემის მნიშვნელოვან ადამიანურ და ფინანსურ რესურსს, რაც ხელს უწყობს პროკურორებს უფრო მეტად კონცენტრირდნენ რთულ და კომპლექსურ საქმეებზე.

საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი სამართალწარმოების სტადიების მიხედვით, შემდეგნაირად ნაწილდება:



2023 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 12,1%-ის შემთხვევაში სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 7,4%-ის შემთხვევაში - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

გამამართლებელი და ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელმა 2023 წელს შეადგინა 56,2%.



2023 წელს საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის ოდენობა შეადგენს 32 707 976 ლარს. ეროვნულ ვალუტაში გამოსახული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებას, 2023 წელს, სასჯელის აღნიშნული სახის გამოყენების მაჩვენებელმა 15,4% შეადგინა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



2023 წელს საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით გამოყენებულ იქნა 17% -ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



2023 წელს არსებითი განხილვისას თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა ბრალდებულთა 37,7%-ის მიმართ. ეს მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



ძალადობრივი დანაშაულების ჩამდენი პირების მიმართ პროკურატურა აგრძელებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას.



სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა რაოდენობა

2023 წელს სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული იყო 9868 ბრალდებული და მსჯავრდებული პირი, მათ შორის 342 ქალი.



2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული იყო 55 არასრულწლოვანი, მათ შორის 2 ბრალდებული ქალი.



ამდენად, ანგარიშში წარმოდგენილი ციფრებით ნათლად ჩანს, რამდენად არის ბოლო წლებში შემცირებული ბრალდებული პატიმრების და თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებაა. საქართველოს პროკურატურის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მაქსიმალური ხელშეწყობა. ბავშვზე მორგებული და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

მართლმსაჯულების განხორციელებისას საჯარო ინტერესის გათვალისწინების პარალელურად, საქართველოს პროკურატურისთვის არსებითია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს დაეხმაროს პასუხისმგებლობის გაცნობიერებაში და ხელი შეუწყოს საზოგადოებაში მის ინტეგრაციას. ამ მიზნით, პროკურატურა არასრულწლოვანთა მიმართ აქტიურად იყენებს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს. არასრულწლოვანთა მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში ხდება.

2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა სულ 1000 პირის მიმართ. აქედან, 544 (54%) არასრულწლოვანი და 456 (46%) 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი იყო.

2010-2023 წლებში კი 14-დან 21 წლამდე ასაკის სულ 7770 პირი განრიდდა, საიდანაც 4700 (60%) არასრულწლოვანი, ხოლო 3070 (40%) - 18-დან 21 წლამდე ასაკის პირია.

14-დან 21 წლამდე ასაკის პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



2023 წლის მონაცემებით, განრიდებულ და ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა არის 1010, საიდანაც განრიდება-მედიაციის პროგრამაში 544 (54%) არასრულწლოვანი ჩაერთო.

რაც შეეხება განრიდებული და ბრალდებული არასრულწლოვნების[2] რაოდენობას, წლების მიხედვით მონაცემები შემდეგია:





ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობასთან მიმართებით განრიდების პროცენტული მაჩვენებლის კლება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ 2023 წელს მოიმატა იმ არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელმა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებდნენ. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების მაჩვენებელი კი, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებდნენ 2023 წელსაც მაღლია, რასაც ქვემოთ მოყვანილი მონაცემები ადასტურებს.

[2] ბრალდებულ არასრულწლოვანთა რაოდენობა მოიცავს იმ პირთა მონაცემებსაც, რომელთა მიმართ განრიდების გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ იქნა მიღებული. 2023 წლის მონაცემებით განრიდების გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ მიღებული იქნა მხოლოდ 10 ბავშის მიმართ.

2023 წელს ბრალდებული 466 პირიდან განრიდების კანონით დადგენილ კრიტერიუმს მხოლოდ 134 არასრულწლოვანი აკმაყოფილებდა. ამდენად, 2023 წლის მონაცემებით განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა, რომლებიც განრიდების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ, 678 პირს შეადგენს, საიდანაც პროკურორმა განრიდების გადაწყვეტილება 544 (80%) არასრულწლოვნის მიმართ მიიღო. აღნიშნული ცალსახად მიუთითებს, რომ პროკურორები ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ მე-8 მუხლის საფუძველზე, არასრულწლოვანთა მიმართ პრიორიტეტულად სწორედ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას განიხილავენ და არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას მხოლოდ მას შემდეგ იღებენ, როდესაც შეფასდება, რომ განრიდება ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და მის სათანადო რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

2023 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იმ პირთა საერთო რაოდენობიდან (678), რომლებიც აკმაყოფილებდნენ განრიდების კანონმდებლობით დადგენილ ფორმალურ კრიტერიუმებს



არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენების მაჩვენებელი ბოლო 3 წელია სტაბილურად მაღალია და 80%-ს შეადგენს.

პროკურორთა მიერ არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების პრიორიტეტულობის ცალსახა დადასტურებაა განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების დაბალი მაჩვენებელიც. 2023 წელს, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან, განრიდებამდე დევნა მხოლოდ 10 (1,8%) არასრულწლოვნის მიმართ დაიწყო.

განრიდება აქტიურად გამოიყენება ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულებზეც. 2023 წელს, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 287-ს, ანუ, განრიდებულ არასრულწლოვანთა 53%-ს.
2023 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, განრიდება ძირითადად გამოყენებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (ქურდობა) გათვალისწინებულ დანაშაულზე. 544 განრიდებული არასრულწლოვნიდან, სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 346 პირს (64%).

ბოლო წლებში ბრალდებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგები ადასტურებს, რომ დაბალია სასამართლოდან საქმეების განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი. 2023 წელს განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 10 (1,8%) შემთხვევაში დაბრუნდა.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის დაბალი მაჩვენებელია. 2023 წლის მონაცემებით, განრიდებული 544 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 24 პირმა (4%) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, რაც ნამდვილად დაბალი მაჩვენებელია.

რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების და სასჯელის გამოყენებას, მონაცემები შემდეგია:

2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ სულ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა 25,3% შეადგინა:



2023 წელს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან (განრიდებულ არასრულწლოვნების და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამი, რომელთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი იყო აღკვეთის ღონისძიების შეფარდება) პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 8% შეადგინა.

არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი
(მონაცემი დათვლილია განრიდებული არასრულწლოვნების და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, რომელთა მიმართ პროკურორის მიერ მოთხოვნილი იყო აღკვეთის ღონისძიება)



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2023 წელს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო რაოდენობიდან პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 19,2% შეადგინა:

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



განრიდებული არასრულწლოვნებისა და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა ჯამური მონაცემებიდან, რომელთა მიმართაც გამოყენებული იქნა აღკვეთის ღონისძიება, 2023 წელს პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 6% შეადგინა.

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში
(შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მაჩვენებელი მოიცავს ჯამურ ინფორმაციას განრიდებულ პირებსა და გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ)



რაც შეეხება არასრულწლოვნების მიმართ გამოტანილი განაჩენების რაოდენობას, 2023 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 258 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



2023 წელს გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 2 არასრულწლოვნის მიმართ.

არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეები წლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:



საპროცესო შეთანხმების საფუძველზე მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის სახით სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



როგორც მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, 2023 წელს კიდევ უფრო შემცირდა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე არასრულწლოვნის მიმართ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება და ბოლო 5 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 16.2% შეადგინა.

არასრულწლოვანთა მიმართ, არსებითად განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენებიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



არასრულწლოვანთა მიმართ არსებითად განხილული და საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების საერთო რაოდენობიდან, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამური მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი

(მოიცავს ჯამურ ინფორმაციას საპროცესო შეთანხმებით და საქმის არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენების შესახებ)



რაც შეეხება არსებითად განხილულ, საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ და განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების ჯამურ მაჩვენებელს, აღნიშნული მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი

(მოიცავს ჯამურ ინფორმაციას კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების საერთო რაოდენობიდან - საპროცესო შეთანხმება, არსებითად დასრულებული საქმეები და განრიდებული პირები)



საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია. პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ამ მიზნით აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ ,,დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს რეფერირების ცენტრთან". 2023 წლის მონაცემებით, პროკურატურის მიერ რეფერირების ცენტრში გადამისამართდა 14 წლამდე ასაკის კანონთან კონფლიქტში მყოფი 54 არასრულწლოვანი და 14-დან 18 წლამდე ასაკის 18 არასრულწლოვანი, რომელთა მიმართ პროკურორებმა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე უარი თქვეს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე განრიდების გამოყენების გარეშე.

2023 წელს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის მიზნით არაერთი მნიშვნელოვანი აქტივობა განხორციელდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების 2022 წლის შედეგების ანალიზის საფუძველზე 2023 წელს მომზადდა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შედეგების ანგარიში," რომელიც საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებგვერდზე არის გამოქვეყნებული. ანგარიშში მოცემულია არასრულწლოვანთა განრიდებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების შესახებ ყველა ძირითადი სტატისტიკური ინფორმაცია. ასევე, წარმოდგენილია ის მიგნებები, რაც მონაცემების გასულ წლებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა. ვინაიდან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ვრცელდება 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა განრიდებაზეც, განრიდების ზოგადი სტატისტიკური ინფორმაცია გაანალიზებულია აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიის პირთა მიმართაც.

განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა

2023 წელს, არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი შესაძლო მიზეზების იდენტიფიცირების მიზნით, 2022 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშების საფუძველზე, განხორციელდა განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების კვლევა. კვლევაში წარმოდგენილია იმ გარემოებების ანალიზი, რომლებიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს და შესაძლოა წარმოადგენდეს არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის გამომწვევ მიზეზებს. კერძოდ, გაანალიზებულია ისეთი მახასიათებლები, როგორიც არის: ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, განათლება, ოჯახური და ეკონომიკური მდგომარეობა, მშობლებთან ცხოვრების ფაქტი, ძალადობრივი ქცევის გამოცდილება, მავნე ჩვევებისადმი დამოკიდებულება, საზოგადოებისადმი დამოკიდებულება და სხვა.

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სწორი მიდგომების განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შესაძლო გამომწვევი მიზეზების ცოდნაზე. ამასთან, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მახასიათებლებისა და ქცევის თავისებურებების ანალიზს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის მიმართულებითაც. შესაბამისად, მითითებული კვლევა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ სწორი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების კარგ შესაძლებლობას იძლევა.

მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) შეხვედრა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე

2023 წლის 17 მაისს, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench & Bar) ფორმატში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე, მათ შორის, მოწმე და დაზარალებულ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებზე, გენერალური, დასავლეთ საქართველოს საოლქო და რაიონული პროკურატურის პროკურორების, მოსამართლეების და ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლების მონაწილეობით შეხვედრა გაიმართა.

საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს წარედგინა ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით პრაქტიკაში გამოკვეთილ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის მიზნით დაგეგმილ აქტივობებზე. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები განხილულ იქნა როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე, რეგიონულ ჭრილში. შეხვედრის ფარგლებში, არსებული გამოწვევების გადასაჭრელად, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად გაზიარებული იქნა პროკურატურის ყველა პოზიცია და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები.

საერთაშორისო კონფერენცია „აღდგენითი მართლმსაჯულების როლი სისხლის სამართლის საქმეებში: გზა საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულებისკენ“

საქართველოს პროკურატურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ორგანიზებით, ევროპის საბჭოს, გაეროს ბავშვთა ფონდისა და ევროკავშირის მხარდაჭერით, 2023 წლის ოქტომბერში, თბილისში პირველად ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „აღდგენითი მართლმსაჯულების როლი სისხლის სამართლის საქმეებში: გზა საზოგადოების საჭიროებებზე მორგებული მართლმსაჯულებისკენ.“

საერთაშორისო კონფერენცია მიზნად ისახავდა საქართველოში სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გაფართოების და როგორც არასრულწლოვნებში, ასევე სრულწლოვნებში აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარების პერსპექტივებზე მსჯელობას.

კონფერენციაზე პროკურატურის წარმომადგენელთა მიერ წარდგენილი იქნა მოხსენებები განრიდების/განრიდება-მედიაციის 13-წლიანი წარმატებული გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების შესახებ. ყურადღება გამახვილდა პროგრამის დანერგვიდან დღემდე განრიდება/განრიდება-მედიაციის განვითარების ეტაპებზე, იმ პრაქტიკული გამოწვევებზე, რომელსაც ქართულმა მართლმსაჯულებამ წარმატებით გაართვა თავი.

კონფერენციაზე მოწვეულმა საერთაშორისო ექსპერტებმა წარმოადგინეს საკუთარი ხედვა სისხლის სამართლის პროცესში აღდგენითი მართლმსაჯულების პოზიტიური როლის შესახებ, დაზარალებულის, ბრალდებულის და საზოგადოების პერსპექტივიდან.

საქართველოს პროკურატურა, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მხარს უჭერს სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების კომპონენტის უფრო ფართოდ დანერგვას - დაზარალებულზე ორიენტირებული მიდგომების გაძლიერებას და ბრალდებულ პირთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გამართული სისტემის ჩამოყალიბებას.

არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი

2023 წლის ნოემბერში, პროკურატურამ საქართველოს ყველა რეგიონში გამართა არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს შეხვედრები. თითოეული

უწყების მიხედვით გაანალიზდა შეხვედრებზე იდენტიფიცირებული საკითხები და მომზადდა ერთიანი ანგარიში, რომლის წარდგენა და განხილვა დაგეგმილია ცენტრალური მულტიდისციპლინური ღონისძიების ფარგლებში უწყებათა გაფართოებულ შეხვედრაზე.

პროკურატურა ევროკავშირის დონორული მხარდაჭერით გეგმავს ადგილობრივი საკოორდიანციო მექანიზმის გაძლიერებას, საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილების გაცნობის საფუძველზე.

ბავშვზე მორგებული გარემო

საქართველოს პროკურატურამ ბავშვზე მორგებული კონცეფციის დანერგვა 2018 წლიდან რუსთავის რაიონული პროკურატურიდან დაიწყო და აიღო ვალდებულება, რომ ყოველწლიურად მინიმუმ ერთ სტრუქტურულ ერთეულში მოეწყობა ბავშვზე მორგებული სივრცე. 2023 წელს ბავშვზე მორგებული გარემო დამატებით შეიქმნა ფოთის, ხაშურის, ამბროლაურის, ახალქალაქის და ქუთაისის რაიონულ პროკურატურებში.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ 2023 წელს გამოძიება დაიწყო 416 სისხლის სამართლის საქმეზე.



2023 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), და 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) მუხლებით.


გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი
2023 წელი
180 მუხლი 22.5%
194 მუხლი 18.70%
276 მუხლი 14.30%
342 მუხლი 6.60%
362 მუხლი 6.40%
182 მუხლი 5.20%
332 მუხლი 4.20%
341 მუხლი 4.00%
333 მუხლი 3.20%
218 მუხლი 2.00%
სხვა 12.70%
2022 წელი
180 მუხლი 22.90%
194 მუხლი 12.30%
362 მუხლი 9.10%
276 მუხლი 9.00%
332 მუხლი 8.80%
182 მუხლი 5.80%
342 მუხლი 5.50%
341 მუხლი 4.50%
333 მუხლი 3.20%
სხვა 18.90%
2021 წელი
180 მუხლი 25.22%
362 მუხლი 10.66%
332 მუხლი 8.35%
194 მუხლი 7.64%
333 მუხლი 5.51%
276 მუხლი 5.33%
182 მუხლი 4.62%
342 მუხლი 4.62%
164' მუხლი 3.73%
126 მუხლი 3.73%
სხვა 20.60%

სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 371 პირის მიმართ.



2023 წელსაც, ისევე როგორც წინა წლებში, სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე), 332-ე (სამსახურებრივი უფებამოსილების ბოროტად გამოყენება) მუხლებით.



2023 წლის მონაცემებით, ბრალდებული 371 პირიდან 87 დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. 2023 წელსაც, წინა წლების მსგავსად, ბრალდებულ საჯარო მოხელეთაგან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.





განაჩენები

2023 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 333, ხოლო გამამართლებელი - 18 პირის მიმართ.



ცალკეული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა

ფულის გათეთრების დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

„ევროპის საბჭოს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შემფასებელ რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის“ (Moneyval) რეკომენდაციის გათვალისწინებით და არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ბოლო პერიოდში წინა წლებთან შედარებით, პროკურატურის მიერ განხორციელებულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ფულის გათეთრების დანაშაულზე გამოძიების დაწყების და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებლები.

2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გამოძიება დაიწყო 123 სისხლის სამართლის საქმეზე.

გამოძიების დაწყების მაჩვენებელი



2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 109 პირის, მათ შორის 89 ფიზიკური და 20 იურიდიული პირის მიმართ.

სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი



Moneyval-ის კომიტეტის მოწოდების შესაბამისად, საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იურიდიული პირების ჩართულობის გამოვლენას ფულის გათეთრების დანაშაულის პროცესში და მათ მიმართ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებას.

შესაბამისად, აქტიურად ხდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. როგორც ზემოთ აღინიშნა, 2023 წელს სისხლისამართლებრივი დევნა 20 იურიდიული პირის მიმართ დაიწყო.

იურიდიული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი



აღნიშნული მონაცემები აჩვენებს საქართველოს პროკურატურის ეფექტიანობას იურიდიული პირების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასთან დაკავშირებით.

2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით გამამტყუნებელი განაჩენი დადგა 46 პირის, მათ შორის 40 ფიზიკური და 6 იურიდიული პირის მიმართ.

გამამტყუნებელი განაჩენები სსკ-ის 194-ე მუხლზე



ფულის გათეთრების საქმეებზე დაწყებული გამოძიებებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების პარალელურად, საქართველოს პროკურატურამ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა ფულის გათეთრებისა და პრედიკატ დანაშაულზე ამოღებული/დაყადაღებული, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეული დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ან მისი ეკვივალენტი ქონებების ოდენობა.

2023 წელს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე ამოღებული/დაყადაღებული უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობა:

- 3 451 134 ლარი
- 10 104 491 აშშ დოლარი
- 7 248 533 ევრო
- 5135 ფუნტი სტერლინგი
- 87 ავტომანქანა
- 14 სხვა სატრანსპორტო საშუალება
- 231 უძრავი ქონება
- წილები 20 საწარმოში

რაც შეეხება 2022 წელს ამოღებული/დაყადაღებული უძრავი-მოძრავი ქონების ოდენობას მონაცემები შემდეგია:

- 11 058 518 ლარი
- 30 373 082 აშშ დოლარი
- 15 219 279 ევრო
- 33 000 ფუნტი სტერლინგი
- 2 674 148 აშშ დოლარის ღირებულების ფასიანი ქაღალდები
- 649 უძრავი ქონება

- 142 ავტომანქანა, ასევე 6 ერთეული სხვა სატრანსპორტო საშუალება
- 83 ერთეული ძვირფასეულობა
- 32 კრიპტომატი და ვირტუალური აქტივები (12 BTC, 176 696 USDT)



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით მიმდინარე საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობა:

- 991 824 ლარი
- 1 946 388 აშშ დოლარი
- 11 700 ევრო
- 775 280 ლარის ღირებულების 14 ავტომანქანა
- 5 978 741 ლარის ღირებულების 23 უძრავი ქონება
- 19 ერთეული ტექნიკა
- კრიპტოვალუტა - USDT

2022 წლის მონაცემები კი შემდეგია:

- 5 474 795 ლარი
- 7 838 233 აშშ დოლარი
- 651 693 ევრო
- 11 უძრავი ქონება
- 19 ავტომანქანა
- 53 ერთეული კომპიუტერული ტექნიკა

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევის მაჩვენებელი



შენიშვნა: დიაგრამაზე ამოღებული-დაყადაღებული თანხის ოდენობა მოცემულია მილიონებში.

აღსანიშნავია, რომ Moneyval-ის კომიტეტის მიერ საქართველოს შეფასების პროცესში, ბოლო წლებში, საქართველოს პროკურატურის მიერ ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გატარებული ღონისძიებები, ასევე, ფულის გათეთრების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით არსებული სტრატეგია პოზიტიურად შეფასდა.

საერთაშორისო თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა აქტიურად არის ჩართული ტრანსნაციონალური თაღლითობის, კიბერდანაშაულის და ფულის გათეთრების, მათ შორის ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ორგანიზებული დანაშაულებრივი სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა, დანაშაულის გამოვლენა, უკანონო აქტივების კვალზე მიდევნება, აღმოჩენა და შემდგომი კონფისკაცია სხვადასხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან ეფექტურ თანაშრომლობაზეა დამოკიდებული.

ტრანსნაციონალური დანაშაულების გამოძიების პროცესში, საქართველოს პროკურატურის წარმატება, მნიშვნელოვნად განაპირობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პარტნიორ უწყებებთან აქტიურმა თანამშრომლობამ. საქართველოს პროკურატურა, ,,ევროჯასტში“ საქართველოს მეკავშირე პროკურორის ჩართულობით, ეფექტიანად თანამშრომლობს ,,ევროჯასტის“ წევრ ქვეყნებთან და უწყებას მსგავსი ნაყოფიერი თანამშრომლობის უკვე მდიდარი გამოცდილება აქვს.

აღნიშნული მიმართულებით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად თანაშრომლობს წამყვანი ევროპული ქვეყნების - გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთის სამეფოს, შვეიცარიის კონფედერაციის, ნიდერლანდების, საფრანგეთის, ლიეტუვის რესპუბლიკისა და ასევე ამერიკის შეერთებული შტატების საპოლიციო და საპროკურორო დანაყოფებთან.

უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის ჩარჩო არ შემოიფარგლება მხოლოდ ,,სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონით

დადგენილი სამართლებრივი რეგულაციებით, აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის გაცვლის ოპერატიული არხები და ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში გაწევრიანების გზით, მტკიცებულებათა ხელმისაწვდომობის გამარტივებული პროცედურები.

აღნიშნულის ნათელი მაგალითია, საქართველოს პროკურატურის და უცხო ქვეყნის კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, ევროჯასტის მხარდაჭერით შექმნილი საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფების ფარგლებში, ბოლო წლებში, ერთდროულად სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე ჩატარებული არაერთი ფართომასშტაბიანი ღონისძიება, რომელთა შედეგადაც სხვადასხვა ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი ჯგუფი გამოვლინდა.

ჩატარებული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა თბილისში სხვადასხვა ლოკაციაზე მდებარე ე.წ. თაღლითური ქოლ-ცენტრების, ათეულობით ფიზიკური პირის, მათი საცხოვრებელი ბინების, ავტომანქანების და სამუშაო ადგილების ჩხრეკა. ამოღებულია ასეულობით ელექტრონული მატარებელი, დოკუმენტაცია და დიდი ოდენობით ფულადი თანხა. ათეულობით ობიექტიდან გამოთხოვილია ელექტრონული ინფორმაცია. ყადაღა დაედო ბრალდებულების საკუთრებაში არსებულ ათეულობით მილიონი ლარის ღირებულების უძრავ და მოძრავ ქონებებს.

2021-2024 წლების პერიოდში, საქართველოს პროკურატურის მიერ, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია ე.წ თაღლითური ქოლ-ცენტრების საქმიანობაში ჩართული 78 ფიზიკური და 3 იურიდიული პირის მიმართ, მათ შორის დანაშაულის ორგანიზატორების მიმართაც.

საქართველოს პროკურატურის გამომძიებლები და პროკურორები, მომავალშიც აქტიურად განაგრძობენ მონაწილეობას ევროკავშირის წევრი და არაწევრი სახელმწიფოების სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ საერთაშორისო საგამოძიებო ჯგუფებში, რაც კიდევ უფრო გაზრდის უწყების ეფექტიანობას ტრანსნაციონალურ დანაშაულთან ბრძოლის პროცესში.

რისკების შეფასება

საქართველოს პროკურატურა პერიოდულად ახდენს ფულის გათეთრების რისკების შეფასებას და ამ მიმართულებით მოწყვლადი სექტორების იდენტიფიცირებას.

2023 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის სპეციალიზირებული დანაყოფის - ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მიერ განისაზღვრა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატული დანაშაულები, დამუშავდა 2019-2022 წლების სტატისტიკური მონაცემები და ცალკეული, მატერიალური სარგებლით მოტივირებული დანაშაულებიდან გამომდინარე გაანალიზდა უკანონო შემოსავლის გენერირების და საფინანსო სისტემაში შემდგომი ინტეგრირების მიმართულებით არსებული მდგომარეობა.

დამუშავებული მონაცემები, საფუძვლად დაედო ეროვნულ დონეზე და სექტორების მიხედვით ფულის გათეთრების რისკის დონის განსაზღვრას, რამაც ასახვა ჰპოვა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების განახლებულ ანგარიშში, რაც საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის განკარგულებით იქნა დამტკიცებული.

გარდა აღნიშნულისა, ფულის გათეთრების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული ქონების ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში ეფექტური მექანიზმი დაინერგა. მოძიებული, აღრიცხული და დამუშავებული იქნა 2019-2022 წლების განაჩენები და დაიწყო ჩამორთმეული ქონების ერთიანი რეესტრის წარმოება. პერიოდულად განახლდება განაჩენის საფუძველზე ჩამორთმეული ქონების ერთიანი რეესტრის მონაცემები.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

2023 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით, საქართველოს პროკურატურაში ფულის გათეთრების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის და აღნიშნული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩართულ კომპეტენტურ უწყებებს შორის კოორდინაციისა და თანამშრომლობის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფი საქართველოს პროკურატურის სტრუქტურული დანაყოფების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის წარმომადგენლებისაგან შედგება.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიზანია გაფართოებული შეხვედრების ფორმატში იმსჯელოს ფულის გათეთრების დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა საქართველოში გავრცელებული ფულის გათეთრების დანაშაულის ტიპოლოგიების ანალიზი, მაღალი რისკების სფეროების იდენტიფიცირება, არსებული ეროვნული და საერთაშორისო რეკომენდაციები და მათი იმპლემენტაციის პროცესი, პრაქტიკული მაგალითების განხილვის პრინციპით დაგროვილი პრაქტიკის განზოგადება და ამ დანაშაულის გამოძიების/დევნის საკითხებზე ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვა

აღნიშნული სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გაიმართა 2023 წლის 10 ნოემბერს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

სასწავლო პროგრამები, პროგრამული უზრუნველყოფით მხარდაჭერა

ტრანსნაციონალური დანაშაულების - თაღლითობის, კიბერდანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურა პერიოდულად ახორციელებს გამომძიებლების და პროკურორების გადამზადებას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობას სხვადასხვა კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

2023 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის თანამშრომლების მიერ, პარალელური ფინანსური გამოძიების და ვირტუალური აქტივების მოძიება-ამოღების საკითხებზე გადამზადნენ პროკურატურის სხვადასხვა დანაყოფების პროკურორები და გამომძიებლები. სწავლების პროცესი 2024 წელსაც აქტიურად გაგრძელდება.

უკანონო აქტივების მოძიების, ამოღების, მართვის და კონფისკაციის საკითხებზე ევროსაბჭოს ეკონომიკური დანაშაულისა და თანამშრომლობის სამმართველოს მიერ ორგანიზებულ, რეგიონალურ სამუშაო შეხვედრაში საქართველოს პროკურატურის პროკურორები მონაწილეობდნენ. შეხვედრაზე განხილული იქნა აღნიშნული მიმართულებით არსებული საერთაშორისო სტანდარტები და გაზიარებული იქნა საუკეთესო პრაქტიკა.

ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციისა (ეუთო) და გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის (UNODC) ერთობლივი ორგანიზებით, თბილისში ჩატარდა ვირტუალური აქტივების მოძიება-ამოღების პრაქტიკული ტრენინგი, რომელსაც პროკურატურის გამომძიებლები დაესწრნენ. ტრენინგის განმავლობაში განხილული იქნა შემდეგი საკითხები: კრიპტოვალუტის არსი; კრიპტოაქტივების მართვის საშუალებები; კრიპტოსაფულის შექმნა და მართვა (ტრანზაქციების განხორციელება); კრიპტოსაფულის შესახებ მონაცემების აღმოჩენისას

მისი აღდგენისა და ამოღების მეთოდები; კრიპტოვალუტის კვალის მიდევნებისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა და მათი გამოყენება; კრიპტოსერვის პროვაიდერების (ე.წ. ვასპების) საქმიანობის რეგულირება და მარეგულირებლის (ეროვნული ბანკი) მიერ შესამუშავებელი პოლიტიკა ფულის გათეთრების რისკებთან დაკავშირებით.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები კიბერდანაშაულის, პარალელური ფინანსური გამოძიების, ვირტუალური აქტივების და ელექტრონული მტკიცებულებების მოძიება-ამოღების საკითხებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ არარეთ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობდნენ. სწავლებები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა თეორიული ცოდნის გაღრმავებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მიდგომების შემუშავებას.

აღსანიშნავია, რომ პროკურატურის და სხვა უწყებების წარმომადგენლების ჩართულობით, 2023 წელს გაგრძელდა ერთწლიანი სასწავლო პრაქტიკული კურსი კიბერდანაშაულის და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების თემაზე. სწავლება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდებოდა, რომელსაც აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის კომპიუტერული დანაშაულისა და ინტელექტუალური საკუთრების განყოფილების კიბერდანაშაულის ლაბორატორიის დირექტორი უძღვებოდა. მონაწილეებმა წარმატებით დაასრულეს სასწავლო კურსი და ახლო მომავალში უზრუნველყოფენ პროკურორებისა და გამომძიებლების გადამზადებას.

გარდა აღნიშნულისა, 2023 წელს, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (OSCE) მხადაჭერით, საქართველოს პროკურატურას ვირტუალური აქტივების კვალზე მიდევნების და ანალიზის საყოველთაოდ აღიარებული, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა გადმოეცა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს უწყების შესაძლებლობებს ორგანიზებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გამოცხადდა ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რადგან კორუფცია საფრთხეს უქმნის კანონის უზენაესობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს. ამ ბრძოლის წარმატებაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოების რეპუტაცია და გამართული ფუნქციონირება.

კორუფციული დანაშაული მისი სპეციფიკიდან, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხიდან და სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის პრიორიტეტებიდან გამომდინარე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რის გამოც კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.

კორუფციული დანაშაულების გამოძიება მიეკუთვნება პროკურატურის, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კომპეტენციას.

კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურის სისტემაში მოქმედებს სპეციალიზებული დანაყოფი - კორუფციულ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველო, რომელიც დაკომპლექტებულია გამოცდილი და მაღალპროფესიონალი კადრებით

და სრულად უზრუნველყოფილია სათანადო რესურსებით, რაც იძლევა მათი ფუნქციების ეფექტიანად შესრულების გარანტიას. აღსანიშნავია, რომ ამჟამად საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს მუშაობა სტრუქტურულ რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს სპეციალიზებული ანტიკორუფციული დანაყოფის გაძლიერებას, რეგიონალური საგამოძიებო დანაყოფების სპეციალიზებული გამომძიებლებით დაკომპლექტებასა და მათ ცენტრალიზებულ მართვას.

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია პროკურატურის ანტიკორუფციული მიმართულების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, გამოძიების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევების დანერგვა და გამოყენება, ადამიანური რესურსების განვითარება. მნიშვნელოვანია, რომ პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაცია მუდმივად თანხვედრაში იყოს თანამედროვე სტანდარტებთან, შიდაეროვნულ და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკასთან. ამ მიზნით საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფს თანამშრომელთა განგრძობად პროფესიულ განათლებასა და გადამზადებას. 2023 წელს, პროკურორებმა და გამომძიებლებმა გაიარეს გადამზადება ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა: კორუფციული და ფულის გათეთრების დანაშაულების გამოვლენის, გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეფექტური მექანიზმები, იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი დევნა და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვა/ჩატარება, მტკიცებულებების მოპოვება, მათი დასაშვებობა, დანაშაულის გზით მოპოვებული ქონების, ასევე მისი ეკვივალენტის ყადაღა/კონფისკაცია, პარალელური ფინანსური გამოძიების ჩატარება და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები. აღნიშნული პროცესი მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

იმის გათვალისწინებით, რომ კორუფციასთან ბრძოლა მხოლოდ ერთი უწყების უფლებამოსილებას არ წარმოადგენს, გაძლიერდება უწყებათაშორისი თანამშრომლობა სამუშაო შეხვედრების ფორმატში, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კოორდინაციის საერთო სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებასა და ეფექტიანი პრევენციული მექანიზმის შემუშავებას.

საქართველოს პროკურატურა აცნობიერებს, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული საზოგადოების აქტიურ ჩართულობაზე, რისი გათვალისწინებითაც საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შესაბამისად საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოებისთვის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის პროკურატურა პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რაც მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

კორუფცია საჯარო სექტორში

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში 2023 წელს გამოძიება დაიწყო საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 159 სისხლის სამართლის საქმეზე.



გამოძიების დაწყების ძირითადი წყაროებია - მოქალაქეთა განცხადება/საჩივრები, ოპერატიული საქმიანობის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია, საჯარო დაწესებულებების შიდა აუდიტის სამსახურების და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მოწოდებულია ინფორმაცია.



2023 წელს, საჯარო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 153 პირის მიმართ.



2023 წელს, ყველაზე მეტი - 53 პირის (მათ შორის, სხვა მუხლთან ერთობლიობაში) მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 342-ე მუხლით - სამსახურებრივი გულგრილობის ჩადენის ფაქტებზე. სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 26 პირის მიმართ (მათ შორის, სხვა მუხლთან ერთობლიობაში), ხოლო ქრთამის აღების (338-ე მუხლი) ფაქტებზე - 12 პირის მიმართ (მათ შორის, სხვა მუხლთან ერთობლიობაში).



2023 წელს, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 135 პირის მიმართ, რომლებიც კორუფციული დანაშაულის ჩადენის მომენტში დასაქმებულნი იყვნენ საჯარო სამსახურში, ხოლო მათგან 12 ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას წარმოადგენდა მაღალი თანამდებობის პირს, ესენი არიან: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და დარგობრივი ეკონომიკის მინისტრი, მინისტრის მოადგილე და ამავე სამინისტროს ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე, ქალაქის მერის პირველი მოადგილე, მუნიციპალიტეტის გამგებლები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრები და შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი. აღსანიშნავია, რომ ბრალდებულ საჯარო მოხელეთა დიდ ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები წარმოადგენენ (სულ 56 პირი, რაც შეადგენს ბრალდებულ საჯარო მოხელეთა 41%-ს). რაც შეეხება 2022 წელს, კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საჯარო სექტორში დასაქმებული 124 პირის მიმართ.

2023 წელს, სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა საჯარო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 105 პირის მიმართ, ხოლო 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შეადგენდა 117 პირს.

გამამტყუნებელი განაჩენის მაჩვენებელი
(კორუფცია საჯარო სექტორში)



2023 წელს სასამართლოს მიერ საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლით (სამსახურებრივი გულგრილობა) დამნაშავედ იქნა ცნობილი 36 პირი. საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლით (ქრთამის აღება) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში დამნაშავედ იქნა ცნობილი 14 პირი (მათ შორის, სხვა მუხლებთან ერთობლიობაში), ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების (332-ე მუხლი) ფაქტზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 13 პირის მიმართ (მათ შორის, სხვა მუხლებთან ერთობლიობაში).

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს კორუფციული დანაშაულის ჩადენაში სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი 4 პირი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იკავებდნენ მაღალ თანამდებობას, კერძოდ: სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე, ორი მუნიციპალიტეტის გამგებელი და საკრებულოს წევრი.



კორუფცია კერძო სექტორში

2023 წელს, გამოძიება დაიწყო კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებულ 74 სისხლის სამართლის საქმეზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) დანაშაულზე გამოძიება დაიწყო 52 საქმეზე (სხვა მუხლთან ერთობლიობაში), ხოლო საქართველოს სსკ-ის 221-ე მუხლით გათვალისწინებულ კერძო სექტორში ჩადენილ კომერციული მოსყიდვის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 12 საქმეზე.



2023 წელს, კერძო სექტორში კორუფციული დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე საქართველოს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 91 პირის მიმართ.



2023 წელს, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ (მითვისება ან გაფლანგვა, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით) ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 71 პირის მიმართ (სხვა მუხლთან ერთობლიობაში).

2023 წელს, გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა კერძო სექტორში ჩადენილ კორუფციულ დანაშაულში მხილებული 39 პირის მიმართ, ხოლო 2022 წელს სასამართლოს მიერ დამნაშავედ იქნა ცნობილი ამ კატეგორიის დანაშაულში ბრალდებული 86 პირი.

ქონების დაყადაღება და ჩამორთმევა

კორუფციასთან დაკავშირებულ დანაშაულებზე მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების პროცესში, მართლმსაჯულების ინტერესების უზრუნველსაყოფად, 2023 წელს ყადაღა დაედო სავარაუდოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ 13 247 033 ლარის ღირებულების 70 უძრავ ქონებას.

2023 წელს, სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამორთმეული იქნა კორუფციული დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებული 377 911 ლარის ღირებულების 38 უძრავი ქონება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშები

საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე დაწყებული გამოძიების ეფექტიანად ჩატარება. 2023 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან საქართველოს პროკურატურაში გადმოიგზავნა 9 ანგარიში, რომელთა საფუძველზე, გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის 5 საქმეზე, ხოლო 4 ანგარიში თემატურად დაერთო მანამდე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეებს.

რაც შეეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს, მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს, 2023 წელს პროკურატურის მიერ გატარებული სამართლებრივი რეაგირების შედეგად, დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ. აღსანიშნავია, რომ მათგან 9 ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში მუშაობდა საჯარო სექტორში.

2023 წელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების საფუძველზე ჩატარებული გამოძიების შედეგად გამოვლენილი იქნა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი მუხლებით:



რაც შეეხება სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე სისხლისსამართლებრიივი დევნის დაწყების მაჩვენებლებს, მონაცემები წლების მიხედვით შემდეგია:



კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, როგორც საქართველოს პროკურატურის, ასევე ყველა სხვა სამართალდამცავი უწყებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევა და ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2022 წლის ივნისში, საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში სპეციალიზირებული დანაყოფი - კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო შეიქმნა.

დანაყოფის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი კომპიუტერული სისტემების გამოყენებით კიბერსივრცეში ჩადენილ დანაშაულთა მზარდი სტატისტიკა გახდა, რაც მათ შორის აქტიურად ვლინდებოდა პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულებში.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, გაფართოვდა კიბერდანაშაულის ჩადენის ხერხებიც და კიბერდანაშაულების ჩასადენად უფრო და უფრო რთული მეთოდები და საშუალებები გამოიყენება. დამნაშავეები შედარებით ხშირად მიმართავენ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, ცდილობენ ვირტუალური აქტივების გამოყენებას, რათა გართულდეს დანაშაულის ჩამდენ პირთა იდენტიფიცირება, ასევე მოხდეს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების წარმომავლობის შენიღბვა, დაფარვა და მათი მიდევნება.

ამ ყველაფრის ფონზე, კიდევ უფრო იზრდება კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს მნიშვნელობა და დანიშნულება, რომლის ძირითადი მიზანია გამოავლინოს პროკურატურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებული და მასთან დაკავშირებული კიბერდანაშაულების ფაქტები, უზრუნველყოს ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

აღნიშნული მიზნების შესრულებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, ციფრული გამოძიების სპეციალური

ლიცენზირებული პროგრამით და დაკავშირებული საჭირო ტექნიკით აღჭურვილ ციფრულ ლაბორატორიას, რომელიც სპეციალიზირებული დანაყოფის ჩამოყალიბების პარალელურად შეიქმნა. ციფრული ლაბორატორია დანაყოფის პრაქტიკულ საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ხელშესახებად ზრდის მის შესაძლებლობებს კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ციფრული ლაბორატორიის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურამ გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის გამოთხოვის ახალი მიდგომის დანერგვა დაიწყო. ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამოღება კომპიუტერული ექსპერტიზის ფარგლებში ხორციელდებოდა, რაც სათანადო ადამიანური რესურსების არარსებობის გამო დროში იწელებოდა და მნიშვნელოვნად აფერხებდა გამოძიების ეფექტურობას.

საკითხისადმი ახლებული მიდგომის საფუძველზე, ციფრული ლაბორატორიის მხარდაჭერით, გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ელექტრონული მოწყობილობებიდან ინფორმაციის ამოღებას გამოძიების მწარმოებელი უწყების სათანადო ცოდნის მქონე გამომძიებელი ან სხვა უფლებამოსილი თანამშრომელი ახორციელებს, რაც იძლევა დროის დაზოგვის და ინფორმაციის დროულად მოპოვების შესაძლებლობას.

აღსანიშნავია, რომ გამოძიების პროცესში, საქართველოს პროკურატურის მიერ აქტიურად გამოიყენება ხელოვნური ინტელექტის - IBM I2 ანალიზის სპეციალური პროგრამის გამოყენება.

ციფრული ანალიტიკური პროგრამა სამართალდამცავ ორგანოებს საშუალებას აძლევს, განახორციელონ დახვეწილი საგამოძიებო ანალიზი, ამოიცნონ საჭიროებები, ხელი შეუწყონ უწყებათა თანამშრომლობას და მართონ დანაშაული. ასევე, IBM i2 მომხმარებელს აძლევს განსხვავებული ფორმატის, სხვადასხვა წყაროდან მოპოვებული ინფორმაციის პროგრამაში იმპორტირების შესაძლებლობას, მიუხედავად მისი მოცულობისა. პროგრამა ახდენს მის ანალიზს, დახარისხებას, სტრუქტურიზაციას და რუტინული სამუშაოს ავტომატიზაციის საშუალებით, დროის მცირე მონაკვეთში, დამუშავებული მშრალი მონაცემების ვიზუალიზაციით ახდენს ორ ან რამდენიმე ქსელს შორის კავშირის გამოვლენას, შაბლონური ქცევების და ლატენტური საფრთხის აღმოჩენას, დანაშაულებრივი კამპანიის მიდევნებას. აღნიშნულ სისტემაში მონაცემების მიღება-დამუშავება შესაძლებელია რეალურ დროშიც.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს საქმიანობის შედეგები აღნიშნული პერიოდისთვის შემდეგია:

- გამოძიება მიმდინარეობდა - 33 სისხლის სამართლის საქმეზე
- სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 7 პირის მიმართ;
- ყადაღა დაედო და ამოღებული იქნა დაახლოებით 8 300 000 ლარის ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება და ფულადი თანხა;
- ყადაღა დაედო ვირტუალური აქტივების „BINANCE“-სა და „GATE.IO“-ს პლატფორმაზე მომხმარებლის საფულეებზე განთავსებულ კრიპტოვალუტას, რაც სასამართლო განაჩენით ჩამორთმეული იქნა სახელმწიფოს სასარგებლოდ;
- ამოღებული იქნა დააახლოებით 1 500 000 ლარის ღირებულების კრიპტოვალუტა;
- დაზარალებულებს აუნაზღაურდათ დაახლოებით 135 000 ლარის ოდენობის ზიანი.

კიბერდანაშაულის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა მუდმივად მოითხოვს საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოების გადამზადებას. შესაბამისად, კიბერდანაშაულის მიმართულებით პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლება საქართველოს პროკურატურისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პროკურატურა მუდმივად უზრუნველყოფს თანამშრომლების ჩართულობასა და მონაწილეობას სხვადასხვა ტრენინგებში, კონფერენციებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლები კიბერდანაშაულის, პარალელური ფინანსური გამოძიების, ვირტუალური აქტივების და ელექტრონული მტკიცებულებების მოძიება-ამოღების საკითხებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ არაერთ სასწავლო აქტივობებში მონაწილეობდნენ. სწავლებები ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირის სხვადასხვა პროექტების ფარგლებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა თეორიული ცოდნის გაღრმავებას, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი მიდგომების შემუშავებას.

ბოლო წლებში, სპეციალიზებული პროკურორებისა და გამომძიებლების სპეციალიზაციის ამაღლების მიზნით, კიბერდანაშაულის მიმართულებით განხორციელდა 60-მდე სასწავლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროკურატურის 260-ზე მეტმა თანამშრომელმა. მათ შორის, 2023 წელს კიბერდანაშაულის მიმართულებით ჩატარდა 20 სასწავლო ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო პროკურატურის 91-მა თანამშრომელმა.

განხორციელებულმა სასწავლო ღონისძიებებმა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა-პროფესიონალთა შესაძლებლობების გაძლიერებას არაერთი ასპექტით შეუწყო ხელი. აღნიშნული სასწავლო ღონისძიებები არ მოიცავდა მხოლოდ თეორიულ სწავლებას. ორიენტირებული იყო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე სიმულაციური პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებით (უმეტესად, ჯგუფური მუშაობა, ე.წ. “table-top“ აქტივობა).

სასწავლო ღონისძიებების განხორციელებისას განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო თანამშრომლობის კომპონენტის გაძლიერება.

საერთაშორისო თანამშრომლობის კომპონენტის გაძლიერების მიხნით 2023 წელს განხორციელდა ვიზიტები სხვადასხვა ქვეყანაში, რომელთა ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებს შესაძლებლობა ჰქონდათ ფართომასშტაბიან კონფერენციებს დასწრებოდნენ და გაეზიარებინათ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა მიგნებები და გამოცდილება.

აგრეთვე, მიმდინარე წელს საქართველოს პროკურატურაში დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის გაეროს რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) მიერ ევროკავშირის დაფინანსებით ორგანიზებულ რეგიონალურ სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ევროჯასტის, ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI), ბლოკჩეინის მონაცემთა პლატფორმა Chainalysis-ის, ვირტუალური აქტივების მომსახურების საერთაშორისო პროვაიდერების - Binance/Coinbase გამოცდილებას. შეხვედრაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ვირტუალური აქტივების ამოღების საკითხზე.

თანამედროვე სამყაროში, დანაშაულებრივ სამყაროსთან ბრძოლის მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ვირტუალური აქტივების პოპულარიზაცია და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მრავალეტაპიან ჯაჭვში ელექტრონული ფულის გამოყენება. საქართველოს პროკურატურა მჭიდროდ და წარმატებით თანამშრომლობს ვირტუალური აქტივების არაერთ სერვის პროვაიდერთან. მნიშვნელოვანია, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს საერთაშორისო თანამშრომლობა სხვა ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებთან, საერთაშორისო თანამშრომლობის უწყებათაშორის ქსელებთან, რათა გამოძიებისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უფრო სწრაფი და ეფექტური გახდეს.

კიბერდანაშაულის მიმართულებით პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაში აღსანიშნავია აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით მიმდინარე ერთწლიანი სალექციო და პრაქტიკული სასწავლო კურსი, რომელიც 2023 წლის სექტემბერში დასრულდა. სასწავლო კურსის მიზანს წარმოადგენდა პროკურორებისა და გამომძიებლების შესაძლებლობების გაძლიერება ციფრული მტკიცებულებების გამოვლენის, შენახვისა და გაანალიზების მიმართულებით. კურსის

დასრულების შემდეგ გადამზადებული პროკურატურის თანამშრომლები ჩაერთვებიან საბაზისო კურსის შემუშავებასა და განხორციელებაში.

კიბერდანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობის ზრდისთვის აღსანიშნავია კერძო სექტორთან თანამშრომლობა და ამ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო ღონისძიებებიც.

კიბერდანაშაულის და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ კომპანია „ამბრი სოლუშენზ"-თან ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს პროკურატურას გადაეცა კომპანიის მიერ შექმნილი პლათფორმით სარგებლობის უფლებამოსილება, რომელიც კიბერდანაშაულის ფაქტების სწრაფად და ეფექტიანად გამოძიების, ასევე დროის მცირე მონაკვეთში არალეგალური კრიპტოტრანზაქციების გამოვლენის, მათი ანალიზის და მიდევნების შესაძლებლობას იძლევა.

ამავე მემორანდუმის ფარგლებში, ვირტუალური აქტივების კვალზე მიდევნების შესაბამისი პლატფორმის პრაქტიკაში უკეთ გამოყენების მიზნით, მიმდინარე წელს განხორციელდა მენეჯერების, პროკურორების და გამომძიებლების გადამზადება.

სასწავლო ღონისძიებების უმეტესობა გარდა პროკურატურის თანამშრომლებისა, ტარდებოდა სხვადასხვა უწყების წარმომადგენლების მონაწილეობითაც, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო უწყებათშორის თანამშრომლობის გაუმჯობესებას, უწყებათშორისი კომუნიკაციის გაძლიერებას.

შედეგად, კიბერდანაშაულის გამოვლენის მაჩვენებელი ბოლო წლებში მზარდია, რაც განპირობებულია სწორედ კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლების, გამომძიებლებისა და ამ მიმართულების სპეციალიზირებული საპროცესო ხელმძღვანელი პროკურორების ეფექტური გადამზადებითა და კვალიფიკაციის ამაღლებით.

საქართველოს პროკურატურასთან ერთად, კიბერდანაშაულებს აქტიურად იძიებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და მათ წარმოებაში არსებულ სისლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემები არის შემდეგი:



საქართველოს პროკურატურა კვლავ აგრძელებს მუშაობას კიბერდანაშაულის მიმართულებით პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით სასწავლო ტრეინინგების ჩატარება, რათა უფრო მეტმა პროკურორმა და გამომძიებელმა შეძლოს კვალიფიკაციის ამაღლება.

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა

2023 წელს საქართველოს პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მონიტორინგს, წინა წლების მსგავსად დაექვემდებარა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფების და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეები.

2023 წელს პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება დაიწყო 5 სისხლის სამართლის საქმეზე. ამათგან,

- 2 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით,
- 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით,
- 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით,
- 1 საქმეზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლის მე-2 ნაწილის 2 „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით.

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებში გამოძიება არ დაწყებულა.

რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დევნას, პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 7 პოლიციელის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით. რაც შეეხება სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს - სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პოლიციელის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფებსა და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი

საქართველოს 2021 წლის 30 დეკემბრის კანონით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო უფლებმოსილების განხორციელების ფუნქცია, 2022 წლის 1 მარტიდან დაეკისრა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს. ამავე კანონით, ახლადშექმნილი საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო უფლებამოსილება გაფართოვდა და დღეის მდგომარეობით, სპეციალური

საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობა ვრცელდება 2019 წლის 1 ნოემბრის შემდგომ ჩადენილ:

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^1–144^3 მუხლებით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით, 335-ე მუხლით ან/და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე, თუ იგი ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ;
- სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ სხვა დანაშაულზე, რომელმაც გამოიწვია პირის სიცოცხლის მოსპობა და რომლის ჩადენის დროს ეს პირი იმყოფებოდა დროებითი მოთავსების იზოლატორში ან პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, თავისი ნების საწინააღმდეგოდ, აკრძალული ჰქონდა ადგილსამყოფლის დატოვება, ან/და აღნიშნული პირი სხვაგვარად იმყოფებოდა სახელმწიფოს ეფექტიანი კონტროლის ქვეშ.

2023 წელს, საქართველოს პროკურატურამ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 94 პირის მიმართ.

აღნიშნული 94 პირიდან 31 იყო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი, 4 პენიტენციური სამსახურის, ხოლო 2 საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი.

რაც შეეხება გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ მთლიან მონაცემებს შემდეგია:



2023 წელს სასამართლოს მიერ განაჩენი გამოტანილი იქნა 54 პირის მიმართ, ხოლო გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 77 სისხლის სამართლის საქმეზე.

იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2023 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოვლენილ იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 4 ფაქტი, ხოლო დაზარალებულად იქნა ცნობილი 17 პირი. საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზარალებულებს დაუბრუნდათ (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 3,628,622 ლარი ლარის ღირებულების ქონება, მათ შორის 912 000 ლარის ღირებულების მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 35,649 კვ.მ.

სისხლისსამართლებრივი დევნა

- 2023 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნული პირი, დანაშაულის ჩადენის დროს საჯარო მოხელე იყო.
- 2023 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განრიდების მექანიზმი გამოყენებულ იქნა 2 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.
- 2023 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 13 პირის მიმართ გამოტანილი იქნა დადგენილება სისხლისამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

- 2023 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ საქმეებზე გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 10 პირის მიმართ.
- 2023 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 2 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის შუამდგომლობით. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება, რომლის ფარგლებშიც მოპოვებული მტკიცებულებებით გამოირიცხა ხსენებული პირების მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტები.

რაც შეეხება სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის საერთო შედეგს:

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2023 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 214 ფაქტი, მხილებული იქნა 73 საჯარო მოხელე, რომელთაგან 49-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებულ იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება. 3 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა განრიდება. 6 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება, მათი გარდაცვალების გამო, 1 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, ხოლო 14 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 13 პირის მიმართ დადგენილ იქნა გამამტუნებელი განაჩენი.

ასევე, გარდა საჯარო მოხელეებისა 2 პირის მიმართ დაიწყო სისხლის სამართლებრივი დევნა, 3 პირის მიმართ გამოყენებულ იქნა დისკრეცია, ხოლო 4 პირის მიმართ გამოყენებული იქნა განრიდება.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნიდან 2023 წლის 31 დეკემბრის პერიოდში დაზარალებულად იქნა ცნობილი 480 პირი, რომელთაგან 332 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ (ან დაპრუნების პროცესშია) დაახლოებით 66,218,000 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის:

- 175 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 22,943,687 კვ.მ;
- 8 საცხოვრებელი ბინა;
- 3 აგარაკი;
- საოფისე და კომერციული ფართები;
- სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები;
- შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- 82 ერთეული ავტომანქანა;
- ოქროს ნაკეთობები;
- ფიროსმანის ფერწერული 2 ტილო;
- ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.
- აბრა „კახური ღვინო“

2016 წლიდან 2023 წლის ჩათვლით პერიოდში სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 122 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება

განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 30 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. აღნიშნულ პერიოდში სასამართლომ 121 პირის მიმართ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო დანარჩენ მსჯავრდებულებზე გრძელდება საქმის განხილვა.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მუშაობის შედეგად 19 პირის მიმართ, რომელთაგან 13 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, დადგენილ იქნა უფლებების არსებითად დარღვევის ფაქტები, გამოტანილ იქნა შებამისი დადგენილებები და უარი ითქვა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერაზე. აღნიშნულ პირთა მიმართ ასევე დადგენილი იქნა გამამართლებელი განაჩენები.

ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა

საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს“ წინააღმდეგ ბრძოლა.

2023 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1, $223^{2,}$ 223^3 და 223^4-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 82 პირის მიმართ, მათ შორის:

„ქურდული სამყაროს“ საქმეებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



2023 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 83 პირის მიმართ, მათ შორის:

„ქურდული სამყაროს“ საქმეებზე მსჯავრდების მაჩვენებელი



„ქურდული სამყაროს“ საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მუხლობრივი მაჩვენებელი



ამავე პერიოდში გამამართლებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 8 პირის მიმართ, 3 პირი -,,ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე, 1 პირი - ქურდულ შეკრებაში მონაწილეობის ფაქტზე და 4 პირი - ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე;

უნდა აღინიშნოს რომ, სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის უმკაცრესი. აღნიშნული მუხლებით ბრალდებული ყველა პირის მიმართ პროკურორების მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილ იქნა პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა. ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არსებითად განსახილველად იგზავნება სასამართლოში და საქართველოს პროკურატურა აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს მხოლოდ განსაკუთრებული თანამშრომლობის და მამხილებელი ჩვენების მიცემისას გამონაკლის შემთხვევებში იყენებს.

ამავდროულად, 2023 წელს 1 ქურდული სამყაროს წევრისა და 1 ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდამჭერის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ასევე დაიწყო 194-ე მუხლის მესამე ნაწილით. ამოღებულია დანაშაულებრივი გზით მიღებული და ლეგალიზებული ფულადი თანხა - 113 225 ლარი.

ნარკორეალიზატორები

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკოტიკული დანაშულის ჩამდენი პირების მიმართ მათ მიერ ჩადენილი დანაშულის მიხედვით განსხვავებულია. განსაკუთრებით მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ნარკორეალიზატორების მიმართ.

2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 210 ნარკორეალიზატორის მიმართ, მათ შორის:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი



რაც შეეხება ნარკორეალიზატორთა საქმეებზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, 2023 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილ იქნა 183 პირის მიმართ.

ნარკორეალიზატორების საქმეებზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენები



2023 წელი წარმატებული იყო ასევე ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების შემოტანასთან ბრძოლის კუთხითაც. სამართალდამცავი ორგანოების აქტიური მუშაობის შედეგად, 2023 წელს ნარკოტიკული საშუალებების საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით დევნა დაიწყო 75 პირის მიმართ. მხილებული იქნა არაერთი უცხო ქვენისა და საქართველოს მოქალქე, რომელთაც სხვადასხვა ხერხით (პირადად, სხეულით, საფოსტო ამანათით, სატრანსპორტო საშუალებით) საქართველოში შემოჰქონდათ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ისეთი ნარკოტიკული საშუალებები, როგორიცაა ,,კოკაინი", ,,ჰეროინი", ,,ბეპრენორფინი" (სუბოტექსი), ,,მეთადონი" და ა.შ.

2023 წელს კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საკომუნიკაციო საშუალებებით განხორციელებული ნარკოვაჭრობა. ასეთ შემთხვევებში გამსაღებელი შემძენთან ურთიერთობას ახორციელებს დისტანციურად, სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით, ანგარიშსწორება ძირითად კრიპტოვალუტით ხორციელდება, ხოლო უშუალოდ ნარკოტიკის გადაცემა სხვადასხვა, წინასწარ შერჩეულ ლოკაციებზე განთავსების გზით ხდება. აღნიშნული გარემოებები ართულებს დამნაშავეთა გამოვლენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. მიუხედავად ამისა, გამოვლენილი იქნა ნარკოტიკებით ამდაგვარი მეთოდით ვაჭრობის არაერთი ფაქტი. 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა საკომუნიკაციო საშუალებებით ვაჭრობაში მონაწილე 66 პირის მიმართ, რომელთა უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეები არიან. ამასთან, ყველა საქმეზე უზრუნველყოფილი იქნა გასაღებისთვის მომზადებული და სხვადასხვა ლოკაციებზე გასაღებისთვის ფარულად განთავსებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარკოტიკული საშუალებების ამოღება.

ნარკორეალიზატორთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იყო პატიმრობა.

ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობისთვის, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება, შესაბამისად 2023 წელს ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე 4 სასწავლო აქტივობა განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა 13 პროკურორმა მიიღო.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის 15 ივნისის ანგარიშის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებებით საქართველო კვლავ უმაღლეს საფეხურზეა და მსოფლიოს მასშტაბით 188 ქვეყანას შორის უკვე მე-8 წელია ინარჩუნებს ადგილს უმაღლეს საფეხურზე - „პირველ კალათაში".



საქართველო წელსაც ერთადერთია რეგიონის მასშტაბით და ე.წ. „გაფართოების ქვეყნებს“ შორის, რომელიც ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასების უმაღლეს ნიშნულს იკავებს და ტრეფიკინგთან ეფექტიანი ბრძოლის კუთხით ევროკავშირის ქვეყნების, მათ შორის გერმანიის, საფრანგეთის, ბელგიის, ავსტრიის, დანიის, ფინეთის, ნიდერლანდების, შვედეთისა და ლუქსემბურგის გვერდითაა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2023 წლის ანგარიშში პოზიტიურად ფასდება, როგორც ტრეფიკინგის შემთხვევების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის მაჩვენებელი, ასევე სამართალდამცავთა საქმიანობა დანაშაულის პროაქტიულად გამოვლენისა და ტრეფიკიორთა პასუხისგებაში მიცემის მიმართულებით.

2023 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტმა შეასრულა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულება და შეისწავლა ადამიანით ვაჭრობის დანაშაულების დინამიკა, ტენდენციები და გამოწვევები. მომზადდა ტრეფიკინგის 2023 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. გაანალიზდა სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების ტრეფიკინგის ფაქტები, ექსპლუატაციის ფორმები, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ასპექტები, დანაშაულის ტერიტორიული განფენილობა, ბრალდებულთა და დაზარალებულთა პერსონალური მახასიათებლები.

საქმეთა ანალიზი მოიცავს სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების გამოწვევებს, ტენდენციებს და სამომავლო გეგმებს. აღნიშნული ანალიზის შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[3]

2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 15 ტრეფიკიორის მიმართ, ამათგან 10 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლით, 4 პირის მიმართ - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით, ხოლო 1 პირის მიმართ -

[3] https://pog.gov.ge/uploads/35ebe1a7-trefikingis-analizi-2023-sruli-GEO.pdf

https://pog.gov.ge/uploads/124143f0-Traficking-in-Human-Beings-2023-full-ENG.pdf

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] და 143[2] მუხლებით. დაზარალებულად ცნობილია 16 პირი, მათ შორის 10 სრულწლოვანი და 6 არასრულწლოვანი.



2016-2022 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა სულ 55 ტრეფიკიორის მიმართ დაიწყო. მათგან სრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1] მუხლით - 17 პირის მიმართ, ხოლო არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ფაქტებზე - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[2] მუხლით - 38 პირის მიმართ.

2023 წლის 25 აპრილს ტრეფიკინგთან ბრძოლის უწყებათაშორისი საბჭოს ფარგლებში, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის (GRETA) რეკომენდაციების განხილვა გაიმართა, რომლის ფარგლებში საქართველოს პროკურატურისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა GRETA-ს სამდივნოს წარმომადგენლებს მიაწოდეს ამომწურავი ინფორმაცია რეკომენდაციების შესრულების პროგრესის თაობაზე.

2023 წლის 27-28 ივლისს, თბილისსა და ბათუმში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურისა და შრომის ინსპექციის სამსახურის თანამშრომლობით, შრომითი ექსპლუატაციის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შეხვედრები ჩატარდა. პროკურორებმა და შრომის ინსპექტორებმა კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს მიაწოდეს ინფორმაცია ტრეფიკინგის მიმართულებით არსებულ ვითარებაზე, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დაცვაზე ორიენტირებულ მიდგომებზე.

2023 წლის 12 დეკემბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით გაიმართა შრომითი ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის, პრევენციისა და აღკვეთის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა. პროკურატურის წარმომადგენლებმა, სამუშაო ჯგუფის წევრებს წარუდგინეს ტრეფიკინგის 2023 წლის ანალიზის შედეგები. უწყებების წარმომადგენლებმა განიხილეს შრომითი ტრეფიკინგის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, მათ შორის ბავშვთა ტრეფიკინგის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირების მექანიზმები და შრომითი ტრეფიკინგის აღკვეთის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, განსაზღვრეს სამუშაო ჯგუფის სამომავლო გეგმები.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა

შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

საქართველოს პროკურატურაში 2020 წლიდან განხორციელებული რეფორმების შედეგად, რომელიც გამოიხატა სპეციალიზაციის დანერგვაში, სპეციალიზებულ პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და განგრძობად ტრენინგებში, მემორანდუმით გათვალისწინებული საერთაშორისო ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებასა და პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებაში, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების მაჩვენებლები მკვეთრად გაიზარდა.

2023 წელს, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მზარდი ტენდენცია შენარჩუნდა და სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო **1218** პირის მიმართ დისკრიმინაციის შემდეგი ნიშნებით:

- გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით - **1169** პირის მიმართ (მათ შორის გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით - სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ეროვნება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა)
- სქესის ნიშნით - 1 პირის მიმართ
- გენდერული იდენტობის ნიშნით - 13 პირის მიმართ
- სექსუალური ორიენტაციის ნიშნით - 7 პირის მიმართ
- რასის ნიშნით - 10 პირის მიმართ
- შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით - 8 პირის მიმართ
- ასაკის ნიშნით - 3 პირის მიმართ
- სხვა შეხედულების ნიშნით - 2 პირის მიმართ
- რელიგიის ნიშნით - 1 პირის მიმართ
- პოლიტიკური შეხედულების ნიშნით - 1 პირის მიმართ
- სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით - 1 პირის მიმართ
- სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნებით - 1 პირის მიმართ
- შეზღუდული შესაძლებლობისა და წარმოშობის ნიშნით - 1 პირის მიმართ.

2023 წელს დაზარალებულად ცნობილია **1237** პირი, მათგან 1184 ქალი, 16 ტრანსგენდერი ქალი და 37 კაცი.

რაც შეეხება წინა წლების მონაცემებს, 2016-2022 წლებში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2681 პირის მიმართ. ბოლო წლებში, შენარჩუნებულია შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის მზარდი ტენდენცია.

2023 წლის 1 მარტს, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე, ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სრული - 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები[4].

2023 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მომზადდა შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების 2022 წლის სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც მოიცავს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს. აღნიშნული ანალიზის შედეგები ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.[5]

2023 წელს, შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების შესაბამისად, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

2023 წლის 27 ივნისს, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაციის „გლობალური ჩართულობის ინსტიტუტის“ ორგანიზებით კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა რელიგიური უფლებების დაცვის საკითხებზე პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ მოხსენება. კონფერენციას სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური კორპუსის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, ასევე საქართველოში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ლიდერები ესწრებოდნენ.

---

[4] https://www.geostat.ge/media/51737/diskriminacia_2022.pdf

https://www.geostat.ge/media/51738/Hate_2022.pdf

[5] https://pog.gov.ge/uploads/ca61c938-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulebis-2022-analizi.pdf
https://pog.gov.ge/uploads/9a840cab-HATE-Crime-2022-ENG.pdf

2023 წლის 28 ივნისს, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს (ODIHR) წარედგინა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე საქართველოს პროკურატურის 2022 წლის ერთიანი ანგარიში. ODIHR- ის შეფასებით:

ოდირი დადებითად აფასებს საქართველოს მიერ გაწეულ ძალისხმევას, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროს წარმომადგენლების გადამზადების კუთხით.

2023 წლის 5 ოქტომბერს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით და საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის წარმოებისა და ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ, ახალი მემორანდუმი გაფორმდა. საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული, ერთიანი სტატისტიკის წარმოების მიზნით, თანამშრომლობის მემორანდუმს ხელი პირველად 2020 წელს მოეწერა. ახალი მემორანდუმის გაფორმება „სპეციალური საგამოძებო სამსახურის“ შესახებ საქართველოს კანონში განხორციელებულმა ცვლილებამ განაპირობა, რომლის მიხედვითაც სპეციალური საგამოძიებო სამსახურის საგამოძებო მანდატი დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე გავრცელდა.

2023 წლის 12-13 ოქტომბერს, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას, პროკურატურის მენეჯერებთან ერთად საერთო სასამართლოების მოსამართლეები, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრაზე განიხილეს სისხლის სამართლის საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის გამოკვეთის ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები, მათ შორის იმსჯელეს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების პროცესში დანერგილ მსხვერპლზე ორიენტირებულ მიდგომებზე.

2023 წლის 16 ნოემბერს, დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის სტატისტიკის ერთიანი ანალიზის პრეზენტაცია გაიმართა. ევროპის საბჭოს ექსპერტული მხარდაჭერით მომზადდა ანალიტიკური დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულის 2021-2022 წლების სტატისტიკური მონაცემების შედარებითი ანალიზი მემორანდუმით განსაზღვრული აღსარიცხი ერთეულების - დანაშაულის კვალიფიკაციის, დისკრიმინაციის ნიშნების, ტერიტორიული განფენილობის, ბრალდებულისა და დაზარალებულის ასაკის, სქესის, ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის სოციალური კავშირისა და სამართალწარმოების ეტაპების მიხედვით.[6] შეხვედრის მეორე ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დიალოგს დაეთმო, შეხვედრა ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა, პროკურატურისა და სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლება იმსჯელეს შეუწყნარებლობით მოტივირებულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ, არსებულ გამოწვევებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივებზე.

2023 წლის 14 დეკემბერს, ევროპის საბჭოს პროექტის „თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის ეფექტური მექანიზმების ხელშეწყობა საქართველოში“ დახურვის ღონისძიება

[6] https://pog.gov.ge/uploads/f507894e-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulis-statistikis-erTiani.pdf

https://pog.gov.ge/uploads/f6a68eea-sheuwynareblobiT-motivirebuli-danashaulis-statistikis-erTiani.pdf

გაიმართა. სამართალდამცავი უწყებების საქმიანობის პროგრესის შეფასების შედეგად, ევროპის საბჭოს ანტიდისკრიმინაციული დეპარტამენტის მმართველი კომიტეტის მიერ შეირჩა ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის სპეციალიზებული პროკურორი, რომელმაც საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს საქართველოს პროკურატურის მიერ გატარებული რეფორმები გააცნო და სპეციალიზაციის დანერგვის შემდგომ სისხლისსამართლებრივი დევნის გაზრდილ მაჩვენებლებსა და დაზარალებულების ეფექტიან დაცვის მექანიზმებზე ისაუბრა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, შშმ პირთა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისადმი მისაწვდომობის უზრუნველყოფას და სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე შშმ პირების უფლებების დაცვას. „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაეროს კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებათა ჯეროვნად შესრულების მიზნით, 2023 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა.



სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად საქართველოს პროკურატურამ ოთხი ამოცანა გაითვალისწინა. კერძოდ:

- შშმ პირების უფლებების, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, პროცედურული მისადაგების უზრუნველყოფა სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში;
- შშმ პირების უფლებებზე, მათ შორის შშმ ქალებისა და გოგონების უფლებებზე პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის განგრძობადი ამაღლება;
- შშმ პირთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის, მათ შორის, შშმ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება;
- შშმ პირთა, მათ შორის, შშმ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, სისხლის სამართალწარმოებაში გამოვლენილი გამოწვევების გაზიარებისა და გადაჭრის მიზნით, შშმ თემთან, საზოგადოებასთან და დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.

აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე.[7]

[7] https://pog.gov.ge/uploads/ee670f3e-shshm-pirTa-uflebebis-samoqmedo-gegma-2023.pdf

შშმ პირების მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესებისა და საერთაშორისო სტანდარტების პრაქტიკაში იმპლემენტაციის მიზნით, 2023 წელს შშმ პირთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, მომზადდა შშმ პირთა მონაწილეობით და შშმ არასრულწლოვანთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზები, რომლებიც მოიცავს შშმ პირების, მათ შორის შშმ ქალებისა და არასრულწლოვნების მიმართ ჩადენილი დანაშაულების, ასევე კანონთან კონფლიქტში მყოფი შშმ არასრულწლოვნების საქმეების სისხლისსამართლებრივ და კრიმონოლოგიურ ასპექტებს. ანალიზების შედეგები, ქართულ და ინგლისურ ენებზე გასაჯაროვდა საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[8].

სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზის საფუძველზე, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.

საქართველოს პროკურატურა მესამე წელია აქტიურად თანამშრომლობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოსთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან. თანამშრომლობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავების მიზნით, შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოსთან 2023 წლის 13 ნოემბერს საქართველოს პროკურატურის პროკურორების სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც განიხილეს შშმ პირთა მართლმსაჯულებაზე მისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები, არსებული გამოწვევები და შშმ მოწმესთან, დაზარალებულთან და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტების შესახებ შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგები.

პროკურორებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო მითითებების შესრულების მონიტორინგის შედეგად, გაიზარდა შშმ პირთა მონაწილეობით არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განხორციელებული საპროკურორო საქმიანობის ხარისხი და ეფექტიანობა.

ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი დანაშაულებზე რეაგირება

საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან აწარმოებს სპეციალურ სტატისტიკას, როგორც ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ასევე ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულების ფაქტებზე.

ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტებზე, 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 10 პირის მიმართ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე. დაზარალებულად ცნობილია 17 ჟურნალისტი, ამათგან 15 ჟურნალისტი სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, ხოლო 2 ჟურნალისტი საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ საქმეზე.

[8] https://pog.gov.ge/uploads/d72e7c0c-shshm-pirTa-mimarT-chadenili-danashaulis-analizi-2022-GEO.pdf
https://pog.gov.ge/uploads/f7edba00-Analysis-of-the-Crimes-against-PWD-2022-ENG.pdf
https://pog.gov.ge/uploads/01898d63-PWD-children-eng-2022.pdf
https://pog.gov.ge/uploads/6d17b487-PWD-children-Geo-2022.pdf
https://pog.gov.ge/uploads/1865d9f9-shshm-pirTa-mimarT-chadenili-danashaulis-analizi.pdf
https://pog.gov.ge/uploads/4f7c6e15-Analysis-of-the-Crimes-against-Persons-with-Disabilities.pdf

2015-2022 წლებში კი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 48 პირის მიმართ.

ჟურნალისტის მიმართ ჩადენილი სხვა დანაშაულის ფაქტებზე, 2023 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 2 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. დაზარალებულად კი ცნობილია 12 ჟურნალისტი, მათგან, 8 ჟურნალისტი საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო დანაყოფის წარმოებაში არსებულ საქმეებზე, ხოლო 4 ჟურნალისტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებაში არსებულ საქმეებზე.

2016-2022 წლებში ჟურნალისტის მიმართ ჩადენილ სხვა დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 35 პირის მიმართ.

საქართველოს პროკურატურაში შემუშავებულია სახელმძღვანელო მითითება „ადამიანის უფლებათა დამცველის მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თაობაზე'', რომლის მიზანია ადამიანის უფლებათა დამცველების მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის თანხვედრა საერთაშორისო დეკლარაციებთან, ადამიანის უფლებათა დამცველების მიმართ მოქმედ უნივერსალურ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

2023 წელს უფლებადამცველების მიმართ დანაშაულის ჩადენის ფაქტებზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 6 პირის მიმართ. დაზარალებულად ცნობილია 6 უფლებადამცველი და 1 არასამთავრობო ორგანიზაცია.

2018-2022 წლებში უფლებადამცველების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 21 პირის მიმართ.

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ოჯახური დანაშაული

ქალთა მიმართ გენდერული ძალადობა და ოჯახური დანაშაული საქართველოს პროკურატურისთვის კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. 2023 წელს, ოჯახურ დანაშაულზე სისხლისსამართლებრივი დევნა 5286 პირის მიმართ დაიწყო.

დევნის დაწყების მაჩვენებელი წლების მიხედვით შემდეგია:



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის პოლიტიკას, 2023 წელს ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელმა 91% შეადგინა. სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, რომ 2018 წლიდან მიმდინარე წლის ჩათვლით, საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნა სტაბილურად მაღალია და 90%-დან 94%-მდე მერყეობს.

2014-2023 წლებში ოჯახურ დანაშაულზე პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი შემდეგია:



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობებიდან 2023 წელს სასამართლომ დააკმაყოფილდა 54%.

ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი 2014-2023 წლების მიხედვით შემდეგია:



ოჯახური დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გასაზრდელად, კვალიფიციურ საპროკურორო საქმიანობათან ერთად, საჭიროა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების/მექანიზმების არსებობა. განსაკუთრებით კი, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა განმეორებითი დანაშაულისაგან დაცვა. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პროკურატურამ შეიმუშავა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რაც გულისხმობს ქალთა მიმართ ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულების მიმართ არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად, ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებას. განსახორციელებელი ცვლილებების ფარგლებში, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირების მიმართ, რომელთაც შეფარდებული აქვთ არასაპატიმრო ღონისძიება, შესაძლებელი იქნება 24-საათიანი ელექტრონული მონიტორინგის განხორციელება, რაც შექმნის ბრალდებულის დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვის კონტროლის ქმედით მექანიზმს, დაზარალებულებს შეუქმნის უსაფრთხოების მეტ გარანტიებს და შეამცირებს ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განმეორების რისკებს.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი განხილული იქნა რელევანტური უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან ერთად.

2023 წელს აქტიურად მიმდინარეობდა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეთა მონიტორინგი. იდენტიფიცირებულ იქნა გამოძიებასა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებისას არსებული ტენდენციები და გაანალიზდა ზემოაღნიშნულ დანაშაულებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი როგორც გამამართლებელი, ასევე, გამამტყუნებელი განაჩენები. იდენტიფიცირებული გამოწვევები ინტეგრირდა ოჯახური დანაშაულის სპეციალიზაციის ტრენინგ მოდულში, აგრეთვე, აისახა განახლებულ სახელმძღვანელო მითითებაში.

2023 წელს პროკურატურამ, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გააუმჯობესა ოჯახურ დანაშაულზე სტატისტიკის დათვლის მეთოდოლოგია და უზრუნველყო პროკურატურის ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების განვითარების სტრატეგიის თანახმად, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებებით პროკურატურა სამომავლოდ გეგმავს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს

აღნიშნულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებას და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას.

გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახში ძალადობისა და ფემიციდის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას.

გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა 2023 წელს გამოიკვეთა 1169 ბრალდებულის მიმართ.

2023 წლის მონაცემებით გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ბრალდებული 1169 პირიდან, გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით (სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ეროვნება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა) სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 5 პირის მიმართ.

2023 წელს გენდერისა და დისკრიმინაციის სხვა ნიშნების ერთობლიობით (სექსუალური ორიენტაცია, რელიგია, ეროვნება, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა) დაზარალებულად ცნობილია 1177 პირი, მათგან 1164 ქალი, 1 ტრანსგენდერი ქალი და 12 კაცი.

2023 წელს, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის მიერ მომზადდა სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი, რომელიც მოიცავს გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების კრიმინოლოგიურ და სისხლისსამართლებრივ ასპექტებს, არსებულ ტენდენციებსა და გამოწვევებს.

2023 წლის 8 თებერვალს, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის" საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად, განიხილა საქართველოს მიერ წარდგენილი სახელმწიფო ანგარიში. უწყებათაშორის დელეგაციაში საქართველოს პროკურატურისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, რომელთაც კომიტეტს მიაწოდეს ინფორმაცია კონვენციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე.

კომიტეტმა დადებითად შეაფასა ქვეყნის მიერ განხორციელებული რეფორმები და მადლობა გადაუხადა საქართველოს დელეგაციას კონსტრუქციული და პროდუქტიული დიალოგისთვის

2023 წლის 30 ნოემბერსა და 1 დეკემბერს, ევროპის საბჭოს პროექტის „ქალთა მიმართ ძალადობის აღსაკვეთად ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, საქართველოს პროკურატურისა და პასუხისმგებელი უწყებების ჩართულობით, გაიმართა სამუშაო შეხვედრა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფის (GREVIO) მიერ სტამბოლის კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ. სამუშაო შეხვედრა, რეკომენდაციების შესრულების კოორდინაციის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.

2023 წლის 8 დეკემბერს, თბილისის საკრებულოში გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელმა, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს ქალთა მიმართ გენდერული და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს პროკურატურის მკაცრი

სისხლის სამართლის პოლიტიკისა და დაზარალებულთა მხარდასაჭერად განხორციელებული ღონისძიებების, ასევე სექსუალური შევიწროების მექანიზმის შესახებ ინფორმაცია მიწოდა.

ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან გლობალურ კამპანიაში საქართველოს პროკურატურა წლებია აქტიურად მონაწილეობს. 2023 წლის 25 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე მიმდინარე კამპანიის ფარგლებში, ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების, თანასწორობის უზრუნველყოფისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით სულ 31 ღონისძიება განხორციელდა.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანია

2022 წლის 6 ოქტომბერს, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ დაიწყო.

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენს. კამპანიის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა.

კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 243 ღონისძიება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რაიონებში, მოსახლეობასთან ჩატარდა 100-ზე მეტი საინფორმაციო შეხვედრა. საინფორმაციო კამპანიისთვის სპეციალურად დამზადდა ბუკლეტები სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

სპეციალიზებული პროკურორები და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები საქართველოს 5 ქალაქში: თბილისში, თელავში, გორში, სენაკსა და ზუგდიდში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებებებში შეხვდნენ ძალადობაგამოვლილ ქალებს. შეხვედრებზე პროკურატურის წარმომადგენლებმა, ბენეფიციარებს მათი უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებზე ინფორმაცია მიაწოდეს.

სპეციალიზებულმა პროკურორებმა საქართველოს 7 ქალაქში 19 საჯარო ლექცია ჩაატარეს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში, 76 საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, მანდატურებთან და მოსწავლეებთან, 6 საინფორმაციო შეხვედრა კი ჩატარდა თბილისის ბაგა-ბაღის საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორებთან.

კამპანიის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და შშმ თემის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის გაღრმავებას დაეთმო და პროკურორებმა შშმ ქალებთან, არასრულწლოვნებთან და შშმ თემის წარმომადგენლებთან, 5 ქალაქში გამართეს შეხვედრები.

2022 წლის 25 ოქტომბერს, უწყებებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის მსხვერპლთათვის სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან მულტისექტორული სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომელშიც ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე როგორც საჯარო, ასევე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

2022 წლის 1 ნოემბერს, ევროპის საბჭოსა და სამართლის უზენაესობის პროგრამის (USAID) მხარდაჭერით, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის თემაზე, მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (Bench&Bar) ფორმატში მოსამართლეების, პროკურორების და ადვოკატების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებმა განიხილეს ფემიციდის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე არსებული გამოწვევები. 2022 წლის 11 ნოემბერს, პროკურატურის ორგანიზებით, კახეთში ადგილობრივი საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებმა განიხილეს ქალთა მიმართ ძალადობრივი დანაშაულების გამომწვევი მიზეზები და არსებული გამოწვევები. სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, კახეთის რეგიონში, ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით ვითარების დადებითი ცვლილებისთვის სამომავლო კოორდინირებული აქტივობები დაიგეგმა.

2022 წლის 29 ნოემბერს, გენერალურ პროკურატურაში, ფემიციდის დანაშაულების სისხლისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტების თემაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციის მონაწილეებს ქალთა მკვლელობების 2018-2022 წლების სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი წარედგინათ, რომელიც ქართულ და ინგლისურ ენაზე საჯაროდ ხელმისაწვდომია საქართველოს პროკურატურის ვებ-გვერდზე[9].

კამპანიის ფარგლებში, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებისა და პროკურორების მონაწილეობით, მომზადდა 8 ვიდეო რგოლი. თბილისსა და რეგიონებში განთავსდა სარეკლამო აბრები და ვიდეო მონიტორები.

კამპანიის ფარგლებში გამოცხადდა არტ-ნამუშევრების კონკურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 75-მა ავტორმა. 2023 წლის 13 იანვარს სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა და გამოავლინა არტ-ნამუშევრების კონკურსის 4 გამარჯვებული. საუკეთესო ნამუშევრების ავტორები სპეციალური სიგელებითა და საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის მნიშვნელოვანი მიმართულება, სოციოლოგიური და დამოკიდებულებების თაობაზე კვლევების განხორციელებაა. კამპანიის ფარგლებში, ანონიმური კითხვარის საფუძველზე, საქართველოს ყველა რეგიონში ჩატარდა ქალთა და ოჯახში ძალადობის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების კვლევა. მოსახლეობის მიერ შევსებული კითხვარების საფუძველზე, გაანალიზდა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე საზოგადოების მხრიდან სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის მზაობის საკითხი. შეფასდა საზოგადოების ხედვა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის დანაშაულების პრევენციისათვის სახელმწიფოს მხრიდან განსახორციელებული აქტივობების შესახებ. ანონიმურ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2 303 მოქალაქემ, მათგან 1665 ქალმა და 638 კაცმა.

2023 წელს, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი გლობალური კამპანიისა და პროკურატურის ორგანიზებული ფემიციდის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის ინიციატივით, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე ადგილობრივი საბჭოს სხდომები საქართველოს 11 ქალაქში გაიმართა. ადგილობრივი საბჭოს სხდომები ჩატარდა მცხეთაში, გორში, რუსთავში, მარნეულში, ბოლნისში, თელავში, ახალქალაქში, ქუთაისში, ზუგდიდში, ბათუმსა და ოზურგეთში.

კამპანიის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ საერთო ჯამში 20-ზე მეტ საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და სახელმწიფო უწყებასთან ითამაშრომლა.

---

[9] https://pog.gov.ge/uploads/df898345-femicidi-2022-The-POG-09-12-2022-PDF.pdf
https://pog.gov.ge/uploads/3e5875da-Femicide-2022-The-POG-eng-09-12-2022-2.pdf

ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი

ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის პარალელურად, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი მონიტორინგს უწევდა ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეებს. ფემიციდის ანალიზი ქართულ და ინგლისურ ენაზე გამოქვეყნებულია პროკურატურის ვებ-გვერდზე.[10]

ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში, გამოვლინდა გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების ტენდენციები და გაანალიზდა სასამართლოს გადაწყვეტილებები. მონიტორინგის შედეგების შესაბამისად, ეფექტიანი საპროკურორო საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლებისთვის, მომზადდა სახელმძღვანელო მითითება „ფემიციდის სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ“.



სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგის ფარგლებში შესწავლილ იქნა დანაშაულის ჩამდენ პირთა სოციალური კავშირი მსხვერპლებთან. ოჯახური ნიშნით ქალთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის უმეტესი შემთხვევები დანაშაული ჩადენილია ქმრის ან/და ყოფილი ქმრის მიერ, ხოლო არა ოჯახური ნიშნით განხორციელებულ დანაშაულებში აღსანიშნავია ინტიმური პარტნიორის მხრიდან განხორციელებული მკვლელობის შემთხვევები, რომლებიც მეუღლის ან/და ყოფილი მეუღლის მხრიდან ჩადენილი მკვლელობის შემდეგ მნიშვნელოვან პოზიციას იკავებს.

გენდერულად მგრძნობიარე მიდგომების გამოყენების შედეგია ის, რომ ბოლო წლებში ქალთა თვითმკველობამდე და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის საქმეებში 88%-მდე გაიზარდა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირება.

საქართველოს პროკურატურა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფემიციდის დანაშაულებზე საქართველოს პროკურატურის და სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის მეთოდოლოგიების დაახლოებას და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკის წარმოებას. ამ მიზნით, 2023 წლის 3 ოქტომბერსა და 14 ნოემბერს, საქართველოს პროკურატურის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატისა და უზენაესი სასამართლოს

[10] https://pog.gov.ge/uploads/3a43d454-femicidi-2014-2022-GEO.pdf
https://pog.gov.ge/uploads/007f81e3-Femicide-2014-2022-ENG.pdf

წარმომადგენლების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა. ერთიანი, სრულყოფილი და სეგრეგირებული მონაცემების აღრიცხვის და ფემიციდის დანაშაულების მონიტორინგის მიმართულებით, დაიგეგმა უწყებების კოორდინირებული სამომავლო საქმიანობა.

სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე რეაგირება

ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს.

2021 წლის დასაწყისიდან სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის საქმეებზე სპეციალიზაცია დაინერგა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა, როგორც გამოძიების ხარისხის, ასევე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის კუთხით, რაც 2021-2023 წლებში გაზრდილ სტატისტიკურ მაჩვენებლებში აისახა.

2023 წელს აქტიურად მიმდინარეობდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადებილი დანაშაულების საქმეების მონიტორინგი, რამაც პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა სპეციალიზაციის შემოღებასთან, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებასა და პრაქტიკაში ეფექტიანად იმპლემენტაციასთან ერთად მნიშვნელოვნად განაპირობა ამ კატეგორიის დანაშაულებზე საპროკურორო საქმიანობის ხარისხის გაზრდა. აღნიშნული კი პირდაპირპროპორციულად აისახა ბოლო წლებში სქესობრივ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გაზრდილ მაჩვენებელზე.

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე შემდეგია:

137-141-ე მუხლებზე 2020-2023 წლებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი მუხლობრივ ჭრილში, შემდეგია:



როგორც აღინიშნა, 2023 წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეების მონიტორინგი. შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით გამოძიებადაწყებული საქმეები და ამავე მუხლებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი როგორც გამამტყუნებელი, ასევე გამამართლებელი განაჩენები. გარდა აღნიშნულისა, კანონიერების და დასაბუთებულობის შეფასების მიზნით შესწავლილ იქნა სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციით წარმოებულ საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. საქმეთა შესწავლის საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა სქესობრივი დანაშაულის გამოძიების პროცესში არსებული ტენდენციები და გამოწვევები. შესწავლილი საქმეების და გადაწყვეტილებების საფუძველზე მომზადდა ანალიზი, რაც გათვალისწინებული იქნა პროკურორთა გადამზადების მოდულში, ასევე, აისახა განახლებულ სახელმძღვანელო მითითებაში.

2023 წელს, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN Women) და ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, პროკურორებისთვის ჩატარდა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსი. ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესახებ.

პროკურატურა, პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა განგრძობადი სწავლების ფარგლებში, მომავალშიც გეგმავს სქესობრივი დანაშაულის სპეციალიზებულ პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც საუკეთესო საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზს დაეფუძნება.

საგამოძიებო, საპროკურორო და სასამართლო პრაქტიკის დაახლოების მიზნით, 2023 წელს ევროპის საბჭოს და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით სქესობრივი დანაშაულის თემაზე პროკურორების, გამომძიებლების და მოსამართლეების მონაწილეობით ერთობლივი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა დისკუსია სქესობრივი დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხებზე, მტკიცებულებათა მოპოვებისას არსებულ სირთულეებზე,

მტკიცებულებათა სტანდარტზე, კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობაზე სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან. შეხვედრის ფარგლებში პროფესიონალები შეჯერდნენ არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სქესობრივი დანაშაულის საქმეებზე მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებას და უზრუნველყოფს სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლთა უფლებების მაქსიმალურად ეფექტიანად დაცვას.

2023 წელს განხორციელდა მოწმისა და დაზარალებულთა კოორდინატორების გადამზადება სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე. კოორდინატორთა კვალიფიკაციის ამაღლება ხელს შეუწყობს სქესობრივი დანაშაულების მსხვერპლთა უფლებების ეფექტიან დაცვას და დროული დახმარების აღმოჩენას, ასევე, მეორეული ვიქტიმიზაციის რისკების შემცირებას.

სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლ არასრულწლოვანთა საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს საქართველოს პროკურატურის პროკურორებმა და პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრის წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს. სამუშაო შეხვედრა მიზნად ისახავდა პრაქტიკოსთა მიერ საკუთარი გამოცდილების, მიღწეული პროგრესის და იდენტიფიცირებული საჭიროებების გაზიარებას. შეხვედრის ფარგლებში პროკურორებმა ცენტრის სოციალურ მუშაკებთან და ფსიქოლოგებთან ერთად განიხილეს სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა მიმართ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების პრაქტიკა, არასრულწლოვან მსხვერპლთან კომუნიკაციის სტანდარტები. საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების პროცესში სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა. პროკურატურა მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს თანამშრომლობას სექსუალური ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა ფსიქოლოგიურ-სოციალური მომსახურების ცენტრთან.

2023 წელს პროკურატურამ სქესობრივ დანაშაულებზე გააუმჯობესა სეგრეგირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის და პრევენციის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს“ კონვენციის (სტამბოლის კონვენციის) მოთხოვნათა შესაბამისად და უზრუნველყო პროკურატურის ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობა.

სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე სპეციალიზებულ პროკურორთა დატვირთვის განსაზღვრის მიზნით 2023 წელს შემუშავდა ტექნიკური ამოცანა და გაიწერა შესაბამისი კრიტერიუმები, რაც შესაძლებელს გახდის სპეციალიზირებულ პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა დატვირთვაში დაიდენტიფიცირდეს ის ქმედებები, რომლებიც განხორციელებულია სქესობრივი დანაშაულის საქმეებში.

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების განვითარების სტრატეგიის თანახმად, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულის და სქესობრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა შემდგომ წლებშიც წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულებებით პროკურატურა სამომავლოდ გეგმავს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას, რაც საბოლოოდ ხელს შეუწყობს ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლებას და შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვა

2015 წლიდან საქართველოს პროკურატურაში მუდმივად ხორციელდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა მთავარი დანიშნულებაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სისტემის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადება და ყველა იმ გამოწვევის იდენტიფიცირება და მასთან გამკლავების ეფექტიანი გზების ძიებაა, რაც აუცილებელია ამ ინსტიტუტის გამართულად და ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 2023 წელს განიხილა 13 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან:

- 10 საქმე შეეხებოდა განზრახ მკვლელობას ან/და განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში;
- 1 საქმე შეეხებოდა ოჯახში მომხდარ ძალადობას;
- 1 საქმე შეეხებოდა თავისუფლების უკანონო აღკვეთასა და დამამცირებელ მოპყრობას;
- **1** საქმე ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.

- მკვლელობის 10 საქმიდან 8 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 1 საქმეზე მსაჯულთა შემადგენლობამ გაიზიარა დაცვის მხარის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ვერდიქტი და შეცვალა არსებული კვალიფიკაცია, 1 საქმეზე კი მიღებული იქნა გამამართლებელი ვერდიქტი.
- ოჯახში მომხდარი ძალადობის 1 საქმეზე დადგა გამამართლებელი განაჩენი;
- თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და დამამცირებელი მოპყრობის 1 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი;
- ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების 1 საქმეზე, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.



ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი რაიონულ სასამართლოებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესების რაოდენობა, რის გამოც დღის წესრიგში დადგა პროკურორთა კიდევ უფრო ინტენსიური გადამზადება. სწორედ ამიტომ, ამერიკის შეერთებული

შტატების საელჩოს, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) და INL პროგრამის მხარდაჭერით და თანამშრომლობით საქართველოს პროკურატურის ყველა რეგიონული დანაყოფების პროკურორებისთვის 2023 წელს ჩატარდა ტრენინგების ციკლი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებზე.

ტრენინგის ფარგლებში, მონაწილეებმა ნაფიც მსაჯულთა განსჯადი საქმეების სასამართლოში განხილვის სპეციფიკის, ნაფიც მსაჯულთა შერჩევის, შესავალი და დასკვნითი სიტყვების წარდგენის, პირდაპირი და ჯვარედინი დაკითხვების ტექნიკის და ნაფიც მსაჯულთა განსჯად საქმეებზე საპროკურორო ზედამხედველობის აქტუალურ საკითხებზე მიიღეს ინფორმაცია. ტრენინგი მიზნად ისახავდა პროკურორების, როგორც თეორიული ცოდნის, ასევე პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებას.

2023 წლის თებერვალსა და ივნისში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და ამერიკელი მოსამართლეების ჩართულობით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (bench & bar) სამუშაო შეხვედრები გაიმართა.

შეხვედრების მონაწილეებმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის გამოწვევებზე ისაუბრეს და ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკის შესახებ მოისმინეს ინფორმაცია. პროკურორებმა და ადვოკატებმა ამერიკელ მოსამართლეებთან ერთად ნაფიც მსაჯულთა აცილებისა და თვითაცილების წესზე და სტანდარტებზე იმსჯელეს, ნაფიც მსაჯულთა წინაშე მტკიცებულებათა გამოკვლევისას გამოვლენილი ხარვეზები განიხილეს და მისი გადაჭრის გზებზე შეთანხმდნენ. ასევე, ღონისძიებაში მონაწილეებმა განიხილეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან. კერძოდ, პროკურორებმა და ადვოკატებმა უცხოელ ექსპერტებთან ერთად იმსჯელეს, თუ როგორ უნდა განემარტოთ ნაფიც მსაჯულებს სასამართლო სხდომაზე გამოსაყენებელი კანონი, რა გარემოებები გაითვალისწინება მსაჯულთა შერჩევისას აცილების თაობაზე შუამდგომლობის გადაწყვეტის დროს და რა ხარვეზები გამოიკვეთა მსაჯულთა წინაშე მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში.

მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ცნობადობისა და საზოგადოების სკეპტიკურად განწყობილი ნაწილის დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით პროკურატურა ყოველწლიურად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს მოქალაქეთა სხვადასხვა სეგმენტთან. მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან. შეხვერდის მონაწილეებმა დისკუსია გამართეს ინსტიტუტის საჭიროებებისა და მოქალაქეთა ინფორმირების საკითხებზე. საუბარი შეეხო ასევე იმ დანაშაულებს, რომლებსაც მსაჯულთა სასამართლო განიხილავს, მათი მაინკრიმინირებელი შემადგენლობების სპეციფიკა და საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულებების გავლენა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის პროცესში.

საქართველოს გენერალური პროკურატურის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსახილველ საქმეებზე ზედამხედველობისა და სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებმა კომპეტენციის ფარგლებში 2023 წელს შეისწავლეს 89 სისხლის სამართლის საქმე და გასცეს 77 წერილობითი რეკომენდაცია. რეკომენდაციები ძირითადად შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ საქმეებს და მოიცვა, როგორც მიმდინარე გამოძიების სრულყოფისათვის საჭირო საკითხები ასევე, გამოძიებით დადგენილი ფაქტების სწორ სამართლებრივ შეფასებაზე მოსაზრებები.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ანალიტიკური საქმიანობა

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

2023 წელი პროდუქტიული იყო საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების თვალსაზრისითაც, რომლის ფარგლებშიც საქართველოს პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა არაერთი შედეგზე ორიენტირებული აქტივობა.

2023 წელს, საპროკურორო საქმიანობის ხარისხის მონიტორინგისა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდა სისხლის სამართლის საქმეებისა და სასამართლოს მიერ მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების თემატური შესწავლა და ანალიზი:

- ცხოველთა წამების და მათდამი სასტიკი მოპყრობის ფაქტებთან ბრძოლის ეფექტიანობის ამაღლების კუთხით 2023 წელს შესწავლილ იქნა 2020-2023 წლებში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით დაკვალიფიცირებული 200-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმე. პრაქტიკაში ნორმათა ერთგვაროვანი განმარტების, ასევე სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან მკაფიო გამიჯვნის მიზნით დაიწყო მუშაობა სახელმძღვანელო მითითებაზე.

- გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის შემოწმების მიზნით გაანალიზდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის კვალიფიკაციით (სისხლის სამართლის კოდექსის 287-ე, 287[1], 292-ე, 299-ე, მე-300, 301-ე, 303-ე, 304-ე, 304[1] მუხლები) 2021 წელს გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმეები, რომლებზეც შემაჯამებელი გადაწყვეტილება არ იყო მიღებული. საქმეთა გაანალიზების შედეგად მომზადდა ანალიზი ,,გარემოს დაცვის წესის წინაარმდეგ მიმართულ დანაშაულთა გამოძიების თაობაზე“ და 43 საქმეზე შესაბამის დანაყოფებში ასევე გაიგზავნა სარეკომენდაციო წერილები.

- გამოძიების ხარვეზების იდენტიფიცირებისა და ერთიანი პრაქტიკის დადგენის ხელშეწყობის მიზნით, შესწავლილ იქნა 2021 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით გამოძიებადაწყებული საქმეები. გამოძიებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მომზადდა სახელმძღვანელო მითითება, ასევე, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში გაიგზავნა სარეკომენდაციო წერილები საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების დროულად ჩატარების შესახებ.

- გამოძიების და საპროცესო ხელმძღვანელობის ხარვეზების იდენტიფიცირების მიზნით, ასევე, შესწავლილ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 160-ე მუხლით - ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულების დაწყებული და მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეები.

- საგამოძიებო და საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანობის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანია სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზის გზით იდენტიფიცირდეს გამოძიების ხარვეზები. 2023 წელს შესწავლილ იქნა ყველა ის სისხლის სამართლის საქმე, სადაც 2023 წლის პირველი ექვს თვეში სასამართლომ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: პირველი წარდგენის სხდომაზე ბრალდებული გაათავისუფლა დაკავებიდან; უკანონოდ ცნო გადაუდებელი აუცილებლობის გამო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედება; უარი თქვა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე; წინასასამართლო სხდომაზე დაუშვებლად ცნო ბრალდების მხარის მტკიცებულებები და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის შესახებ პროკურორების ინფორმირება ხელს უწყობს გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის გაუმჯობესებას.

➢ 2023 წელს, საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ მიმდინარე წელს გამოტანილი გადაწყვეტილებების შესწავლის საფუძველზე, მომზადდა უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მნიშვნელოვანი განმარტებების სახელმძღვანელო დოკუმენტი. აღნიშნული სახელმძღვანელოები პრაქტიკოს პროკურორებს შესაძლებლობას აძლევს ნაკლები დროისა და რესურსების პირობებში, პროაქტიურად ადევნონ თვალი სამოსამართლო პრაქტიკაში არსებულ სიახლეებს. სახელმძღვანელოს მიზანია დაეხმაროს პროკურორებს სისხლის სამართლის ცალკეულ ნორმათა განმარტებაში, გადაწყვეტილებების, საჩივრებისა და შუამდგომლობების დასაბუთების ხარისხის ამაღლებასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაში.

საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სახელმძღვანელო

2023 წელს პრაქტიკაში ამოქმედდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების სახელმძღვანელოზე, რომელიც განკუთვნილია საქართველოს პროკურატურის და საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვილი დანაყოფების თანამშრომლებისთვის. სახელმძღვანელოს პრეზენტაცია გაიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და სახელმძვანელო გადაეცათ საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებს. სახელმძღვანელოს პრაქტიკაში დანერგვა მიზნად ისახავს გავრცელებულ დანაშაულებზე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებათა ჩატარების ერთიანი სტანდარტების დამკვიდრებას და გამოძიების ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. სახელმძღვანელო მნიშვნელოვნად დაეხმარება პრაქტიკოს პროკურორებსა და გამომძიებლებს საქმიანობის ეფექტიანად წარმართვაში, გაზრდის, როგორც საპროკურორო ხემძღვანელობის, ასევე, გამოძიების ხარისხს, ხელს შეუწყობს საქმეებზე გამოძიების დროულად და სრულყოფილად ჩატარებას და შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

განხორციელებული კვლევები

➢ სისხლის სამართლის საქმისწარმოების პროცესში დანაშაულებრივი ქმედების სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე ან/და 157[1] მუხლით კვალიფიკაციის მიზნებისთვის ტერმინების: „პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაცია“ და „პირადი ცხოვრების საიდუმლო“ ურთიერთგამიჯვნის მიზნით შესწავლილ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების (ესპანეთი, შვედეთი, იტალია, ხორვატია, გერმანია, უნგრეთი, პოლონეთი და საფრანგეთი) კანონმდებლობა. აღნიშნული საერთაშორისო კვლევის საჭიროება განაპირობა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში გაკეთებულმა პრეცედენტულმა განმარტებამ, რაც სწორი და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით საჭიროებდა მეტ დეტალიზაციას და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას.

➢ შესწავლილ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების საკანონმდებლო ბაზა სქესობრივი ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვანთა გამოკითხვა/დაკითხვის დროს აუდიო-ვიდეო ჩანაწერის განხორციელების, ჩანაწერის საქმის არსებითი განხილვაზე დასაშვებობის პრაქტიკის შესწავლის მიზნით. ასევე, შესწავლილ იქნა ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების (მათ შორის, ამოცნობა) ჩატარების სპეციფიკა.

ციფრული ტრანსფორმაცია

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის და სტატისტიკური მოდულის გაუმჯობესება

საქართველოში სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და საპროკურორო ხელმძღვანელობის პროცესი ხორციელდება პროკურატურისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ ერთობლივი თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ციფრული პროდუქტის - სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის მეშვეობით. მოცემული პროგრამის მომხმარებლებს წარმოადგენენ საქართველოში ფუნქციონირებადი შვიდივე საგამოძიებო დანაყოფში (საქართველოს პროკურატურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და სპეციალური საგამოძიებო სამსახურის) მომუშავე ყველა გამომძიებელი და ასევე საქართველოს პროკურატურის სისტემაში დასაქმებული ყველა პროკურორი.

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის განვითარება მოცემულ ეტაპზე საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ პროგრამასთან ინტეგრაციის მიმართულებით პროკურატურის ჩართულობით აქტიურად ხორციელდება. ზემოაღნიშნული პროექტის წარმატებით დასრულება, როგორც ფუნქციონალურად, ასევე, ანალიტიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად დახვეწავს და გააძლიერებს სისხლის სამართალწარმოების სფეროში დღეს არსებულ შესაძლებლობებს და მოახდენს გამოძიების დაწყებიდან მართლმსაჯულების დასრულებამდე პროცესის უწყვეტ გაციფრულებას. გარდა ამისა, სასამართლო სისტემასთან ინტეგრირებული ციფრული პროდუქტი დაზოგავს უდიდეს ადამიანურ და ლოჯისტიკურ რესურსებს, რაც დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეთა ფაილური (დოკუმენტური) სისტემით მოძრაობასთან. სტატისტიკური მოდულის სრულყოფა კი შესაძლებელს გახდის ბევრად მეტი ინფორმაცია მივიღოთ ნაკლები ადამიანური რესურსის გამოყენებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს პროკურატურაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული პოლიტიკის უფრო ეფექტიან განხორციელებას. ამასთან, ხელს შეუწყობს მრავალფეროვანი და სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას.

2023 წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა მუშაობა სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის სტატისტიკური რეპორტების დახვეწის და ახალი ფუნქციური რეპორტების დანერგვის მიმართულებით. საანგარიშო პერიოდში დაკორექტირდა და გაიტესტა ყველა მოქმედი რეპორტი, ხოლო, ტექნიკური დოკუმენტაცია მომზადდა ათეულობით ახალ სტატისტიკურ რეპორტზე. სტატისტიკური მოდულის დახვეწა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროკურატურაში სრულყოფილი სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებას.

ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 798 თანამშრომელი, მათ შორის, 327 ქალი და 471 მამაკაცი.

798 თანამშრომლიდან:

- 438 პროკურორი. მათ შორის 155 ქალი, 283 - მამაკაცი;
- 80 გამომძიებელი. მათ შორის 9 ქალი, 71 - მამაკაცი;
- 139 პროფესიული საჯარო მოხელე. მათ შორის 120 ქალი, 19 - მამაკაცი;
- 142 ხელშეკრულებით მიღებული თანამშრომელი. მათ შორის 43 ქალი, 99 - მამაკაცი.

- 2023 წელს საქართველოს პროკურატურაში დაინიშნა 49 ახალი თანამშრომელი - 34 პროკურორი, 3 გამომძიებელი, 1 პროფესიული საჯარო მოხელე, 11 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

- 2023 წელს საქართველოს პროკურატურიდან დათხოვნილ იქნა 71 თანამშრომელი - მათ შორის 13 პროკურორი, 2 გამომძიებელი, 3 პროფესიული საჯარო მოხელე, 36 სტაჟიორი და 17 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.
- განხორციელდა 72 შიდა საკადრო გადაადგილება (29 პროკურორი, 4 გამომძიებელი, 33 სტაჟიორი, 2 მოხელე, 4 ხელშეკრულებით დასაქმებული პირი).
- პროფესიული საჯარო მოხელის შესარჩევად ჩატარდა 7 ღია კონკურსი, ხოლო ხელშეკრულებით მისაღები პირის შესარჩევად 2 გამარტივებული კონკურსი.

სტაჟირების სისტემა

საქართველოს პროკურატურის ახალი კადრებით შევსების ძირითადი საფუძველი სტაჟირების სისტემაა. 2023 წლის ივნისში ერთწლიანი, ანაზღაურებადი სტაჟირება დაასრულა 36 სტაჟიორმა. სტაჟიორებს ჩაუტარდათ გამოცდა, რომელიც მოიცავდა ტესტირებას და წერით დავალებას. ასევე, სტაჟირების ხელმძღვანელებმა კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს წარუდგინეს სტაჟიორთა ინდივიდუალური შეფასებები და საბოლოოდ სტაჟიორებმა გაიარეს გასაუბრება კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთან. აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ სტაჟიორები დაინიშნენ პროკურორებად და გამომძიებლებად (33 პროკურორად და 3 გამომძიებლად).
2023 წლის 9 ოქტომბერს კი გამოცხადდა კონკურსი სტაჟიორთა შესარჩევად.

- საქართველოს პროკურატურის საპროკურორო უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე დარეგისტრირებული 554 კანდიდატიდან კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება სპეციალობაში) გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი წარმატებით გადალახა და მესამე ეტაპზე (გასაუბრება) გადავიდა 83 კონკურსანტი.
- საქართველოს პროკურატურის გამომძიებლის უფლებამოსილების განმახორციელებელ სტაჟიორთა კონკურსზე დარეგისტრირებული 215 კანდიდატიდან კონკურსის მეორე ეტაპის (ტესტირება სპეციალობაში) გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი წარმატებით გადალახა და მესამე ეტაპზე (გასაუბრება) გადავიდა 12 კონკურსანტი.

პროფესიული ტესტირების გარდა, სტაჟიორობის კანდიდატებმა გაიარეს ინტელექტის საკვლევი ტესტირება და 2024 წლიდან ისინი გაივლიან გასაუბრებას სათათბირო ორგანოს - კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოსთან .

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან საქართველოს პროკურატურის სტაჟიორის ხელფასი გაიზარდა და შეადგინა 1160 ლარი.

პროკურატურის თანამშრომელთა გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება

2023 წელს პროკურატურის თანამშრომლების პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა 155 სასწავლო აქტივობა, რომელსაც ჯამურად საქართველოს პროკურატურის 1133 თანამშრომელი დაესწრო.
განხორციელებული სასწავლო ღონისძიებებისა და მონაწილეთა შესახებ სტატისტიკა საქართველოს პროკურატურის 2022-2027 სტრატეგიის პრიორიტეტული თემატური მიმართულებების მიხედვით მოცემულია დიაგრამაზე.



ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიებები

2023 წელს ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდაზე ორიენტირებული 101 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც ჯამურად საქართველოს პროკურატურის 574-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

- ფინანსური დანაშაულების, მათ შორის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 10 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც პროკურატურის 52 თანამშრომელი დაესწრო.
- კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 5 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელთა ფარგლებში საქართველოს პროკურატურის 8 თანამშრომელი გადამზადდა.
- ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის, ოჯახური დანაშაულისა და სქესობრივი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 20 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც ჯამურად პროკურატურის 204 თანამშრომელი დაესწრო.
- ბავშვთა მიმართ სქესობრივი ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაუმჯობესების ხელშემწყობი 6 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელთა ფარგლებშიც პროკურატურის 40 თანამშრომელი გადამზადდა.
- დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის წინააღდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 11 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც ჯამურად პროკურატურის 52 თანამშრომელი დაესწრო.

- შშმ პირების მიმართ ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდა და შშმ პირთა (მათ შორის შშმ ქალებისა და შშმ ბავშვთა) მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ხელშემწყობი 2 სასწავლო ღონისძიება ჩატარდა, რომელსაც 36 მონაწილე დაესწრო.
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 9 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც 28 მონაწილე დაესწრო.
- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ხელშემწყობი და ელექტრონული მტკიცებულებებისა და კრიპტოვალუტების მიმართულებით 20 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა საქართველოს პროკურატურის 91 თანამშრომელმა მიიღო.
- ტრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 5 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა და გადამზადდა 24 თანამშრომელი.
- ნარკოტიკულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდასა და ნარკოპრევენციის თემაზე მიმართული 4 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა 13-მა თანამშრომელმა მიიღო.
- ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობ სასწავლო ღონისძიებაში მონაწილეობა 4 თანამშრომელმა მიიღო.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ეფექტიანობის ზრდის ხელშემწყობი 5 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელსაც 11 თანამშრომელი დაესწრო.
- აკრედიტაციასთან დაკავშირებული დანაშაულების შესახებ განხორციელდა 3 სასწავლო აქტივობა, რომელშიც მონაწილეობა 7-მა პროკურორმა მიიღო.

პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული სასწავლო ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა პროფესიული უნარების გაუმჯობესებისაკენ მიმართული 24 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც პროკურატურის 268-მა თანამშრომელმა მიიღო მონაწილეობა.

- საქართველოს პროკურატურისა და ევროპის საბჭოს თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარე ტრენინგების ციკლის - აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად - ფარგლებში ჩატარდა 4 ტრენინგი და გადამზადდა 79 პროკურორი.
- ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის - Prometheus II - ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი გამოძიების მეთოდების შესახებ. აღნიშნულ ტრენინგში საქართველოს პროკურატურის 2 პროკურორი მონაწილეობდა.
- ტრენერთა ტრენინგების ციკლის ფარგლებში განხორციელდა 3 ტრენინგი. ტრენინგს დაესწრნენ როგორც მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ტრენერები, ისე ახალი ტრენერები სულ 37 მონაწილე.
- ევროპის საბჭოს პროექტის „ადამიანის უფლებათა სტანდარტებისა და სწავლების იმპლემენტაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში ადამიანის უფლებების თემაზე განხორციელდა ტრენერთა ტრენინგის მეორე, მესამე და მეოთხე ეტაპები, რომელშიც 42 დამსწრე მონაწილეობდა.
- საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) თანამშრომლობითა და ორგანიზებით, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისათვის ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის (HRBA) შესახებ განხორციელებული ტრენინგი. ტრენინგს საქართველოს პროკურატურიდან 1 პროკურორი დაესწრო.

- საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში ევროპის საბჭოს ორგანიზებით ჩატარდა HELP-ის ქსელის ყოველწლიურ კონფერენცია, რომელსაც დაესწრო საქართველოს პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი (Help-ის კურსების სერტიფიცირებული ტუტორი). კონფერენცია მიზნად ისახავდა ადამიანის უფლებების ევროპული სტანდარტების დანერგვის საკითხების განხილვას და წლიური პროგრესის შეჯამებას HELP-ის დისტანციური სწავლების პლატფორმის გამოყენებით განხორციელებულ აქტივობებზე დაყრდნობით.
- სტაჟიორ-პროკურორებთან და სტაჟიორ-გამომძიებელთან გამოვლენილი ტრენინგ-საჭიროების საფუძველზე 2 ჯუფისთვის ჩატარდა ტრენინგი სამართლებრივი წერის პრაქტიკულ საკითხებზე. ტრენინგის მიზანი იყო საპროცესო დოკუმენტების გამართულობის უზრუნველყოფა.
- სპიკერების მომზადება - მედია ტრენინგი მიზნად ისახავდა პროკურორების მედიასთან და საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების შესაძლებლობების გაძლიერებას. ტრენინგის ფარგლებში გადამზადდა 2 მენეჯერი და 14 პროკურორი.
- პროფესიული განვითარების ცენტრის ორგანიზებით საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობს პროფესიული ინგლისური ენის კურსი 6 ჯგუფისთვის, რომელშიც ჩართულია 42 თანამშრომელი.

ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული სასწავლო ღონისძიებები

2023 წელს ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების გაუმჯობესებაზე მიმართული 30 სასწავლო ღონისძიება განხორციელდა, რომელშიც მონაწილეობა 291-მა თანამშრომელმა მიიღო. მოცემული სასწავლო ღონისძიებები სამ თემატურ კატეგორიაში ერთიანდება. ესენია: 1). გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება; 2). საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება; 3). პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომითი პროდუქტულობის ზრდაზე ორიენტირებული სასწავლო ღონისძიებები.

- გენდერული ორგანიზაციული პოლიტიკის გაუმჯობესება - 8 სასწავლო ღონისძიება და 118 მონაწილე.
- საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება - 17 სასწავლო ღონისძიება და 77 მონაწილე.
- პროკურატურის თანამშრომელთა მოტივაციისა და შრომითი პროდუქტულობის ზრდაზე ორიენტირებული 5 სასწავლო ღონისძიება და 97 მონაწილე.

საერთაშორისო თანამშრომლობა

ევროინტეგრაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

GRECO-ს რეკომენდაციის შესრულება

კორუფციასთან მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) მე-4 რაუნდის შეფასების XIV რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროკურატურის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტმა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში 2023 წლის მაისში ცვლილებები შეიტანა. შედეგად, ქონებრივი დეკლარაციების შევსების ვალდებულება დაეკისრა ყველა პროკურორს, გარდა სტაჟიორ-პროკურორისა.

2024 წელს GRECO განიხილავს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებულად ცნობის საკითხს. მის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროკურატურასთან დაკავშირებით GRECO-ს შეფასების მე-4 რაუნდის ფარგლებში გაცემული ექვსი რეკომენდაციიდან ექვსივე სრულად შესრულებული იქნება. როგორც ცნობილია, GRECO-ს ხუთი რეკომენდაცია საქართველოს პროკურატურას წინა წლებში აქვს შესრულებული.

პროკურატურის მონაწილეობა ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულებაში

საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით ევროკავშირის 12 პრიორიტეტი დეტალურად იქნა საქართველოს პროკურატურის მიერ შესაწავლილი და განისაზღვრა უწყების კომპეტენციაში შემავალი საკითხები. აღნიშნულის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შედეგად, პროკურატურამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ევროკომისიის 5 პრიორიტეტის შესრულებაში პროგრესის მიღწევაში. მითითებული პრიორიტეტები ეხება:

- კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას *(მე-4 პრიორიტეტი);*
- ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას *(მე-6 პრიორიტეტი);*
- მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას *(მე-7 პრიორიტეტი);*
- მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვასა და მათზე ძალადობაზე ეფექტიან რეაგირებას *(მე-8 პრიორიტეტი);*
- გენდერული თანასწორობის გაძლიერებასა და ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას *(მე-9 პრიორიტეტი).*

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროკავშირის მე-4 პრიორიტეტის შესრულების ნაწილში, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიაწოდა 2021-2022 წლების ინფორმაცია კორუფციულ დანაშაულთან დაკავშირებით დაწყებული გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების მაჩვენებლების შესახებ. მასში აისახა მიღწეული პროგრესი და ზრდადი ტენდენცია სამივე მაჩვენებელთან მიმართებაში და ხაზი გაესვა ჩამორთმეული ქონების ღირებულების 775%-იან ზრდას.

ევროკომისიას დამატებით გაეგზავნა ინფორმაცია მაღალი რანგის საჯარო მოხელეების სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა

ევროკავშირის მე-6 პრიორიტეტის შესრულების ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიაწოდა ინფორმაცია ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის თვალსაზრისით გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდების 2022 წლის მაჩვენებლების შესახებ. მასში ხაზი გაესვა აღნიშნული მონაცემების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას 2021 წელთან შედარებით. ასევე, მიწოდებულ ინფორმაციაში ყურადღება გამახვილდა ფულის გათეთრებასთან და ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებულ დანაშაულებთან ბრძოლის სფეროში მიღწეულ შედეგებზე, რაც მათ შორის გამოიხატა ფულის გათეთრების საქმეების გამოძიების შედეგად დაყადაღებული და ჩამორთმეული ქონების ოდენობის მნიშვნელოვან ზრდაში.

მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ევროკავშირის მე-7 პრიორიტეტის შესრულებასთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიეწოდა 2022 წლის და 2023 წლის 6 თვის მონაცემები ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებაში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და დაზარალებულად ცნობილი პირების რაოდენობის შესახებ. ამავე საკითხზე, საქართველოს პროკურატურა ევროკომისიას პერიოდულად წარუდგენდა ინფორმაციას მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების თაობაზე.

მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვა და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირება

ევროკავშირის მე-8 პრიორიტეტის შესრულების ანგარიშგების ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიაწოდა ინფორმაცია 2022 წელს და 2023 წლის 5 თვეში შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი

დევნის დაწყების შესახებ. მასში ხაზი გაესვა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მზარდ ტენდენციას გასულ წლებთან შედარებით.

ასევე, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიაწოდა ინფორმაცია პროკურორთა სპეციალიზაციის, საქმეებში შეუწყნარებლობის მოტივის იდენტიფიცირების და ცნობიერების ამაღლების კამპანიებში პროკურორების მონაწილეობის მხრივ განხორციელებული აქტივობების თაობაზე.

გენდერული თანასწორობის გაძლიერება და ქალთა მიმართ ძალადობა

ევროკავშირის მე-9 პრიორიტეტის შესრულების ნაწილში, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიას მიაწოდა ინფორმაცია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ოჯახში ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე. ეფექტიანობის თვალსაზრისით, ხაზი გაესვა მსგავს დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მზარდ ტენდენციას, მათ შორის იმ გარემოებას, რომ 2022 წელს შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესარულების საკითხზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობა

ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების საკითხზე უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურა აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის 12 პრიორიტეტის შესრულების თაობაზე ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ევროკომისიის წარმომადგენლებთან პირისპირ შეხვედრებში. ამ ფორმატში, საქართველოს პროკურატურა მათ აწვდიდა დეტალურ ინფორმაციას პროკურატურის კომპეტენციის ფარგლებში პრიორიტეტების შესრულების მხრივ მიღწეული პროგრესის შესახებ.

ევროკავშირის ექსპერტების შეფასება

2023 წლის მაისში საქართველოს პროკურატურას ევროკავშირის ექსპერტების სპეციალური შემფასებელი მისია ეწვია. მისი ინტერესის სფეროს მართლმსაჯულებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები წარმოადგენდა. საქართველოს პროკურატურამ, როგორც შეხვედრების ფარგლებში, ისე წერილობით, შემფასებლებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია პროკურატურის რეფორმების და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მიღწეული პროგრესის შესახებ.

ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგი (HRD)

2023 წლის ივნისში გაიმართა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე საქართველო-ევროკავშირის დიალოგი, რომელიც მათ შორის ეხებოდა ქალთა უფლებების, გენდერული თანასწორობის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის, ბავშვთა უფლებების, ჟურნალისტების მიმართ ჩადენილი დანაშაულისა და საპროტესტო აქციების დროს ძალის შესაძლო გადამეტების გამოძიების საკითხებს. დიალოგის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურამ ევროკომისიის მიაწოდა ინფორმაცია ჟურნალისტების მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე.

რეგიონალური სამუშაო შეხვედრა ქონების მოძიების, ჩამორთმევის, მართვის, საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის საკითხებზე

2023 წლის 20-22 ივნისს, საქართველოს პროკურატურამ დანაშაულისა და მართლმსაჯულების კვლევის გაეროს რეგიონთაშორისი ინსტიტუტის (UNICRI) მიერ ევროკავშირის დაფინანსებით ორგანიზებულ რეგიონალურ სამუშაო შეხვედრას უმასპინძლა. აღნიშნული ღონისძიება დანაშაულებრივი ქონების მოძიების, ჩამორთმევის, მართვის და საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობის საკითხებს ეხებოდა.

რეგიონალურ სამუშაო შეხვედრაში საქართველოს, აზერბაიჯანის, მოლდოვის, სომხეთის, უკრაინის, ლიბიის პროკურატურების და სხვა კომპეტენტური უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს პროკურატურის, მართლმსაჯულების კვლევის გაეროს რეგიონთაშორისი ინსტიტუტის, გერმანიის პროკურატურის, უკრაინის უმაღლესი ანტი-კორუფციული სასამართლოსა და ეროვნული ანტი-კორუფციული ბიუროს, ევროჯასტის, ამერიკის გამოძიების ფედერალური ბიუროს, ბლოკჩეინის მონაცემთა პლატფორმა Chainalysis-ის და ვირტუალური აქტივების მომსახურების საერთაშორისო პროვაიდერების *(Binance,Coinbase)* გამოცდილებას.

საერთაშორისო თანამშრომლობა, საერთაშორისო ხელშეკრულებები

2023 წელს საქართველოს პროკურატურამ მონაწილეობა მიიღო გენოციდის, ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულების, ომის დანაშაულებისა და სხვა საერთაშორისო დანაშაულების გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ კონვენციის მოლაპარაკებებში. მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა და დოკუმენტის საბოლოო ტექსტი მიღებულ იქნა ქ. ლუბლიანაში დიპლომატიურ კონფერენციაზე 2023 წლის 26 მაისს.

2023 წელს საქართველოს პროკურატურამ ამერიკის შეერთებულ შტატების სახელმწიფო და იუსტიციის დეპარტამენტებთან წარმატებით დაასრულა მოლაპარაკები ექსტრადიციისა და სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ორმხრივ ხელშეკრულებებზე. რის შედეგადაც, 2023 წლის 13 დეკემბერს ქ. ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტში საქართველოს პროკურატურის დელეგაციამ მოახდინა სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ორმხივი ხელშეკრულების პარაფირება. იმავე დღეს, ვაშინგტონში, საქართველოს გენერალური პროკურატურის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოხდა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ექსტრადიციის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების პარაფირება.

ონლაინ მომსახურების მიმწოდებლებთან თანამშრომლობა

საქართველოს პროკურატურა 2016 წლიდან უცხოური ონლაინ მომსახურების მომწოდებლებისგან რეგულარულად იღებს ელექტრონულ მტკიცებულებებს. დღეის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურა წარმატებით თანამშრომლობს 10 ზე მეტ საერთაშორისო ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელ კომპანიასთან. 2023 წელს უცხოური ონლაინ მომსახურების მიმწოდებელი კომპანიებისგან 118 სისხლის სამართლის საქმეზე განხორციელდა თანამშრომლობა, რაც 96,7 %-იანი ზრდაა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ონლაინ მომსახურების მომწოდებელმა კომპანიებმა 2023 წელს საქართველოს პროკურატურის მოთხოვნების ~95% დააკმაყოფილეს. კომპანია Meta Inc.-ის მონაცემებით, 2023 წლის პირველ ნახევარში, საქართველო მსოფლიოში მე-5 ადგილზე იყო მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებლით. აღნიშნულ პერიოდში Meta Inc.-მა საქართველოს მოთხოვნების 94% დააკმაყოფილა, მაშინ როცა დაკმაყოფილების საშუალო გლობალური მაჩვენებელი 76.9% იყო.

ექსტრადიცია

2023 წელს უცხო სახელმწიფოებში გაიგზავნა ექსტრადიციის 17 შუამდგომლობა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლისგან არსებითად არ განსხვავდება.

რაც შეეხება საქართველოდან უცხო სახელმწიფოებში პირების ექსტრადიციას, 2023 წელს სულ 85 პირის ექსტრადიცია იქნა დასაშვებად ცნობილი, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან მიმართებით 30%-იანი ზრდაა.

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობა

2023 წელს საქართველოს პროკურატურამ უცხო სახელმწიფოებისგან საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების 1264 შუამდგომლობა მიიღო, რაც არსებითად არ განსხვავდება წინა წლების მაჩვენებლისგან.

იმავე პერიოდში საქართველოს საგამოძიებო ორგანოებმა საერთაშორისო სამართლებრივი დახმარებისთვის 185 საქმეზე მიმართეს უცხო სახელმწიფოებს, რაც 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებთან შედარებით უმნიშვნელო მატებაა.

საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოები

,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად პროკურატურის საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით არსებობს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი ორი სათათბირო ორგანო - კარიერის მართვის, ეთიკის და წახალისების საბჭო და სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო. აღნიშნული საბჭოების ფუნქციები განსაზღვრულია კანონით, ხოლო საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი დარეგულირებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭო

კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის თანამშრომელთა დისციპლინური გადაცდომის, წახალისების და დაწინაურების საკითხების განხილვა და რეკომენდაციის გაცემა.
2023 წლის 30 ნოემბერს „პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში (გამოქვეყნდა 2023 წლის 19 დეკემბერს) განხორციელდა ცვლილება და სტაჟირების კომისიის უფლებამოსილება მიენიჭა - საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს. საბჭოს უფლებამოსილებაა სტაჟიორთა შერჩევა, სტაჟირების პროცესზე ზედამხედველობა და მათი შემდგომი შეფასება.

2023 წელს ჩატარდა საქართველოს პროკურატურის კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს 7 სხდომა, რომლის ფარგლებშიც გენერალური პროკურორის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად, განხილულ იქნა 241 თანამშრომლის წახალისების, დაწინაურების და დისციპლინური გადაცდომის საკითხები და „პროკურორთა და პროკურატურის გამომძიებელთა შეფასების სისტემის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 10 დეკემბრის №047 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტი.

კერძოდ:

- მადლობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი 194 თანამშრომლიდან საბჭომ რეკომენდაცია გაუწია 169 თანამშრომელს;
- საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ, 2023 წლის 4 თვის დატვირთვის შედეგებიდან გამომდინარე, მადლობის გამოსაცხადებლად წარმოდგენილი 20 თანამშრომლიდან - რეკომენდაცია გაუწია 17 თანამშრომელს;
- „საპატიო თანამშრომლის" წოდების მისანიჭებლად რეკომენდაცია გაუწია ოთხ თანამშრომელს;
- 5 შიდა კონკურსზე დასაწინაურებლად წარმოდგენილი 17 თანამშრომლიდან, საბჭომ, 17-ვე კანდიდატთან გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დასაწინაურებლად რეკომენდაცია გაუწია 5 თანამშრომელს: კერძოდ:
    - საქართველოს გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორის თანამდებობაზე.

- ❖ საჩხერის რაიონული პროკურორის თანამდებობაზე.
- ❖ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.
- ❖ მარნეულის რაიონული პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.
- ❖ ფოთის რაიონული პროკურორის მოადგილის თანამდებობაზე.

➢ განხილულ იქნა 4 თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და საბჭომ რეკომენდაცია გაუწია ოთხივე თანამშრომლის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენებას.

აღსანიშნავია რომ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გაითვალისწინა საბჭოს ყველა რეკომენდაცია.

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო

სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს უფლებამოსილებაა პროკურატურის სისტემის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების და განვითარების გეგმის სრულყოფის, პროგრამებისა და სხვა საჭიროებების განსაზღვრის და სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე მისი სახელმძღვანელო პრინციპების, სტრატეგიის, სამოქმედო გეგმის შემუშავების და სრულყოფის საკითხების განხილვა და რეკომენდაციების გაცემა.

➢ 2023 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს - სტრატეგიული განვითარების და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს 9 სხდომა.
  - ❖ 2 სხდომაზე განხილულ იქნა ,,საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს N036 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტები.
  - ❖ 2023 წლის 1 სექტემბერს, 13 სექტემბერს, 11 ოქტომბერს, 1 ნოემბერს, 9 ნოემბერს, 16 ნოემბერს და 7 დეკემბერს გამართულ საბჭოს სხდომებზე კი მოსმენილ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, თბილისის პროკურორის და საოლქო პროკურორების 2022 წლის საქმიანობის ანგარიშები.

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, საქართველოს გენერალური პროკურორი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სხვა სათათბირო ორგანოებიც შექმნას იმ საკითხების განსახილველად, რომლებიც არ შედის მუდმივმოქმედი საბჭოების უფლებამოსილებაში და ხელს შეუწყობს პროკურატურის ამოცანების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს გენერალურ პროკურორთან შექმნილია რამდენიმე კოლეგიური ორგანო.

რანგირების საბჭო

საქართველოს პროკურატურაში 2020 წლიდან დაინერგა საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების სისტემა და საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით, დამტკიცდა „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“, რომელიც ამოქმედდა 2020 წლის 1 სექტემბრიდან. რანგირების სისტემის ამოქმედებასთან ერთად ,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო ,,რანგირების საბჭო“.

2023 წელს ჩატარდა საქართველოს გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს – რანგირების საბჭოს ორი სხდომა.

სხდომაზე რანგირების საბჭოს წარედგინა ინფორმაცია და მასალები 115 პროკურორის და პროკურატურის გამომძიებლისთვის 2020-2021 წლის და 2021-2022 წლის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე მინიჭებული მეორე ან/და პირველი რანგის შეცვლის, უცვლელად დატოვების და ასევე რანგის მინიჭების შესახებ.

რანგირების საბჭოს მიერ:

- რანგის უცვლელად დატოვებაზე რეკომენდირებული იქნა 59 თანამშრომელი - 42 პროკურორი და 17 გამომძიებელი;
- მინიჭებული მეორე რანგის მესამე რანგით შეცვლაზე 2 თანამშრომელი - 1 პროკურორი და 1 გამომძიებელი;
- I რანგის მინიჭებაზე - 12 პროკურორი და 2 გამომძიებელი
- II რანგის მინიჭებაზე - 34 პროკურორი და პროკურატურის 4 გამომძიებელი.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს №036 ბრძანებით, დამტკიცებული „საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესი“ -ს შესაბამისად საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე, 14 პროკურორს და ერთ გამომძიებელს 2020-2021 წლის საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე, 2023 წლის 27 მაისიდან უცვლელად დარჩათ ან/და შეეცვალათ მინიჭებული რანგი.

შესაბამისად, 2023 წლის მონაცემებით, რანგირების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე I და II რანგი მინიჭებული აქვს 176 პროკურორს და პროკურატურის გამომძიებელს.

მათ შორის:

- I რანგი - 50 პროკურორს და პროკურატურის 12 გამომძიებელს;
- II რანგი – 91 პროკურორს და პროკურატურის 23 გამომძიებელს.

თანამშრომელთა მოტივაციის და სისტემის ეფექტიანობის გასაზრდელად, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა სოციალური პირობების გაუმჯობესება. შესაბამისად, პროკურატურის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებებისა და შესაძლებლობის ფარგლებში, ყოველთვიური რანგის სახელფასო დანამატი 2023 წლიდან გაიზარდა 20%-ით (პირველი რანგი 625 ლარიდან გაიზარდა 750 ლარამდე, ხოლო მეორე რანგი - 315 ლარიდან 375 ლარამდე).

სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო

2022 წლის 17 ნოემბერს, საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო - ,,სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე დაზარალებულთა საჩივრების განმხილველი საბჭო“. აღნიშნული საბჭო, როგორც მისი დასახელებიდანაც ჩანს, განიხილავს სიცოცხლის მოსპობით დასრულებულ საქმეებზე დაზარალებულების საჩივრებს. საბჭოს საქმიანობის მიზანია სიცოცხლის ხელყოფის საქმეებზე გამოძიების ხარისხის გაუმჯობესება, აღნიშნული კატეგორიის საქმეებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი წინადადებების შემუშავება სამომავლოდ ხარვეზების თავიდან ასაცილებლად.

საბჭო გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით ან/და დაზარალებულის საჩივრის საფუძველზე განიხილავს სიცოცხლის ხელყოფის სისხლის სამართლის საქმეებს.

2023 წელს საბჭომ, გენერალური პროკურორის დავალებით და დაზარალებულთა მომართვის საფუძველზე შეისწავლა 34 სისხლის სამართლის საქმე. საბჭოში შემოსული განცხადების/საჩივრების განხილვის პროცესში საბჭოს სამდივნოს მიერ მოხდა, როგორც უშუალოდ სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა, ასევე, განმცხადებლებთან, საქმის

მწარმოებელ გამომძიებლებთან ან/და საპროცესო ხელმძღვანელ პროკურორებთან გასაუბრება. საბჭოს მიერ აღნიშნულ პერიოდში 25 სისხლის სამართლის საქმეზე გაიცა 41 რეკომანდაცია.



რეკომენდაციების გაგზავნის შემდეგ, მათი სწრაფად და ეფექტურად შესრულებისთვის საბჭოს მხრიდან ხდება შესრულების პროცესის მონიტორინგი.

საბჭოს მიერ შესაწავლილი სისხლის სამართლის საქმეებიდან :

- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19.108-ე მუხლით დაკვალიფიცირებული იყო 1 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით - 11 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით - 14 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით - 3 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლით - 1 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლით - 1 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით - 1 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით - 1 საქმე;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით - 1 საქმე.



როგორც ზემოთ აღინიშნა, საბჭოში შესული განცხადება/საჩივრის საფუძველზე საბჭოს წევრები ხვდებიან დაზარალებულებს და მათ წარმომადგენლებს. საბჭოში განხორციელდა 54 შეხვედრა. საბჭოს მიერ მხარდაჭერილი რეკომენდაციები გაეგზავნათ პროკურატურის უშუალოდ იმ დანაყოფებს, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას ახორციელებდნენ. საბჭოს საქმიანობა არ სრულდება რეკომენდაციის გაგზავნით და საბჭოს წევრები ჩართული არიან თითოეული რეკომენდაციის სწრაფად და ეფექტურად შესრულებაში.

საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმეებზე, დამნაშავე პირთა იდენტიფიცირებისა და მათ მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედება, მათ შორის გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა ექსპერტიზები, დაიგეგმა სამართლებრივი დახმარების, ფარული საგამოძიებო

მოქმედებებისა და სხვა ღონისძიებების შედეგად მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოპოვების გზები.

ციფრული ტრანსფორმაციის საკოორდინაციო საბჭო

2023 წლის 9 ივნისს საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით შეიქმნა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანო -,,ციფრული ტრანსფორმაციის საკოორდინაციო საბჭო.“ საბჭო ანგარიშვალდებულია გენერალური პროკურორის წინაშე.

საბჭომ უნდა უზრუნველყოს:

- ციფრულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, პროექტების დაგეგმვა და განხორციელება;
- საქართველოს პროკურატურაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ციფრული საშუალებების ხელმისაწვდომობის ზრდის ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- ციფრული სერვისების მიმწოდებლებთან თანამშრომლობის გაფართოებისა და გაციფრულების გზით, საქმისწარმოების ეფექტიანობის ზრდის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მონიტორინგი;
- არსებული ციფრული პროდუქტების გაუმჯობესების (მომხმარებელთა კმაყოფილების, ეფექტურობის, სისწრაფისა და ინტეგრაციის ზრდა) ხელშეწყობა;
- მონაცემების ანალიზის შესაძლებლობების ზრდისა და მონაცემებით ინფორმირებული პოლიტიკის წარმოების ხელშეწყობა;
- ციფრული პროდუქტების დანერგვის გზით სამუშაოს ავტომატიზაციის ხელშეწყობა.

აღნიშნული საბჭოს შექმნის მიზანს წარმოადგენს საქართველოს პროკურატურის ციფრული ტრანსფორმაციის სტრატეგიის შემუშავება და ამ სტატეგიის ფარგლებში ისეთი მნიშვნელოვანი ციფრული პროდუქტების შექმნა როგორიც არის პროკურორთა და გამომძიებელთა შეფასების სისტემის, HR მენეჯმენტის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მენეჯმენტის, ნივთმტკიცებათა საცავის მენეჯმენტის პროგრამები და ა.შ.

გენერალური ინსპექცია

2023 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში დაიწყო 28 სამსახურებრივი შემოწმება და დასრულდა 22 წარმოება პროკურატურის 24 თანამშრომლის მიმართ.

მათ შორის:

- 9 თანამშრომლის მიმართ დადასტურებულ იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და სამსახურებრივი შემოწმების დასკვნები განსახილველად წარედგინა საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებულ კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს. საბჭოს გადაწყვეტილებით გამოეცხადათ საყვედური და თანამდებობრივი სარგოს 5 % დაკავება.
- 2 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი. მათგან ერთი თანამშრომელი საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს მიერ სამსახურებრივი შემოწმების შესახებ დასკვნის განხილვამდე, პირადი განცხადებით, დათხოვნილი იქნა საქართველოს პროკურატურიდან. ხოლო მეორე თანამშრომლის მიმართ დამატებით ჩატარებული შემოწმების ფარგლებში ძალაში დარჩა პროკურატურის სისტემიდან

დათხოვნის რეკომედაცია და დასკვნა წარედგინა გენერალური პროკურორის სათათბირო ორგანოს .

- 6 თანამშრომლის მიმართ დადასტურებული იქნა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და საქართველოს გენერალურ პროკურორთან არსებული კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს გადაწყვეტილებით, მიეცათ რეკომენდაცია.
- 7 თანამშრომლის მიმართ არ დადასტურდა დისციპლინური გადაცდომის ფაქტი და შეწყდა სამსახურებრივი შემოწმება.

2023 წლის მონაცემებით, გენერალური ინსპექცია, შესაძლო დისციპლინურ დარღვევებზე აწარმოებს 27 სამსახურებრივ შემოწმებას.

საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ:

- 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში გამოძიება დაიწო 18 სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა კი 8 პირის მიმართ, შემდეგი მუხლებით:
  - ✓ 3 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით;
  - ✓ 2 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით;
  - ✓ 2 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 286-ე მუხლის პირველი ნაწილით;
  - 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლით.

2023 წელს გენერალური ინსპექციის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენი კი გამოტანილი იქნა 6 პირის მიმართ:

- საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მეორე ნაწილით 4 პირის მიმართ
- საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის მესამე ნაწილით და საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მესამე ნაწილით 1 პირის მიმართ
- საქართველოს სსკ-ის 339 მუხლის პირველი ნაწილით 1 პირის მიმართ.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

საქართველოს პროკურატურისთვის მნიშვნელოვანია დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება, რა მიზნითაც უწყება მუდმივად ზრუნავს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის გაძლიერებაზე. სამსახურის მთავარი ამოცანაა მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.

2023 წელს კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 5496 პირს.



მათ შორის:



2023 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს ოჯახური ძალადობისა და ოჯახში ჩადენილი მუქარის საქმეების მოწმეებსა და დაზარალებულებს. დეტალური მუხლობრივი სტატისტიკა შემდეგია[11]:

[11]მონაცემები წარმოდგენილია დანაშაულების მიხედვით. შესაბამისად, მათი რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობას.



2023 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, 2023 წელს კოორდინატორები ჩაერთვნენ 11' და 126' მუხლებით დაკვალიფიცირებულ სისხლის სამართლის 1825 საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 2560 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის, 2169 იყო ქალი, 391- კაცი.



გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში. კერძოდ, კოორდინატორები ჩართული იყვნენ სისხლის სამართლის კოდექსის 137-141-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ 166 საქმეში, რომელთა ფარგლებში მხარდაჭერა გაუწიეს 287 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის, 239 იყო ქალი, 48 -კაცი.



2023 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეებში. კერძოდ, კოორდინატორები ჩართული იყვნენ აღნიშნული კატეგორიის 519 საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 544 დაზარალებულს, მათგან, 527 იყო ქალი, ხოლო 17-კაცი.



2023 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართული იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის 1982 სისხლის სამართლის საქმეში, სადაც დაზარალებული იყო სრულწლოვანი ქალი. აღნიშნულ საქმეთა ფარგლებში, მხარდაჭერა გაეწია 2050 დაზარალებულ ქალს.[12]

[12] ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები დათვლილია სსკ-ის შემდეგი მუხლების მიხედვით: 11[1] მუხლით დაკვალიფიცირებული ყველა საქმე, ასევე, 108-ე, 109-ე, 111-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-

2023 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 37 შშმ პირს. მათგან, 33 იყო დაზარალებული/მოწმე, ხოლო 4 - განმცხადებელი.

2023 წელს გაზრდილია კოორდინატორების მიერ განხორციელებული ქმედებების რაოდენობა. კერძოდ, კოორდინატორების მიერ 2023 წელს განხორციელდა 21 483 აქტივობა.



მათ შორის, დაესწრნენ დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ 272 საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას. მოწმისა და დაზარალებულისთვის უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, სასამართლო განხილვის პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, კოორდინატორები საანგარიშო პერიოდში შეხვდნენ 1059 დაზარალებულს/მოწმეს და დაესწრნენ 388 სასამართლო პროცესს.

2023 წელს მოქალაქეთა (მათ შორის, მოწმე/დაზარალებული) მხრიდან სულ დაფიქსირდა 4210 მოთხოვნა/შეკითხვა. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი იყო გამოძიებასთან ან სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება, პროკურორთან შეხვედრა, შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება/რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

კანონის მიზნის და კოორდინატორის სამსახურის რესურსის გათვალისწინებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას პროკურორები ძირითადად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომელიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

2023 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 24 სტრუქტურულ ერთეულში, 336 დაზარალებულთან. მათ შორის, გასული წლის მსგავსად, კოორდინატორის რესურსი გამოიყენეს იმ სტრუქტურულმა ერთეულებმაც, სადაც არ ჰყავთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

336 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 203 (61%) იყო

ე, 126[1], 133-ე, 133[1], 133[2], 137-141-ე, 143-ე, 143[1], 143[2], 144[1], 144[3], 150-ე, 150[1], 151-ე, 151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების საქმეები.

ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 77 (23%) - მშობელი, 38 (11%) - შვილი და 18 (5%) - სხვა.



336 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 109 პირმა (32%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 227-მა (68%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით.



227 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 63-მა დაზარალებულმა. კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ მისცა 112-მა, 20 მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 32 დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო სხდომა.

საქართველოს პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა რესურსის გამოყენებით, მათი მაქსიმალური ჩართულობით, მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმამდე მოხდეს მათი დეტალური ინფორმირება მოსალოდნელი შედეგების, ხელახალი ვიქტიმიზაციის არსებული საფრთხეების თაობაზე და ასევე მაქსიმალურად გამოირიცხოს არაინფორმირებული ან დაზარალებულზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების მიზეზით, დაზარალებულის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება.

2023 წელს კოორდინატორებმა გაიარეს პროფესიული სწავლება სხვადასხვა მიმართულებით. მათ შორის:

- „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების სპეციალიზაციის კურსი“, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებმა გაიუმჯობესეს ცოდნა და უნარები ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიც არის: სქესობრივი დანაშაულის კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები; სექსუალური ძალადობის დანაშაულების გააზრება გენდერულ ჭრილში; გასაუბრების დროს მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების გამოყენება; სრულწლოვან და არასრულწლოვან მსხვერპლებთან ტრავმაინფორმირებული მიდგომები და მსხვერპლთა მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენცია და სხვა.
- ტრენინგი თემაზე „შშმ პირთა უფლებები და კომუნიკაციის სტანდარტი“. კურსის ფარგლებში განხილულ იქნა შეზღუდული შესაძლებლობის გაგება; სახელმწიფოს ვალდებულებათა ჩარჩო ადგილობრივი და საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით; შშმ პირებთან კომუნიკაციის სტანდარტი და ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები და სხვა.
- ტრენინგი თემაზე „დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვზე მორგებული მიდგომები ბავშვთა მართლმსაჯულების სისტემაში“. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორიც არის: ბავშვის უფლებების მარეგულირებელი საერთაშორისო დოკუმენტები და ადგილობრივი კანონმდებლობა; მოწმე და მსხვერპლ ბავშვთან ურთიერთობა, ბავშვის განვითარების მახასიათებლები, შესაძლებლობები და შეზღუდვები; მოწყვლადი და სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან კომუნიკაციის სტანდარტი; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება და სხვა.

საქართველოს პროკურატურა კვლავაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების და დაზარალებულთა ინტერესებზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელების მიმართულებით.

საჯარო ინფორმაციის გაცემა

საქართველოს პროკურატურაში 2023 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სულ განხილული იქნა 360 განცხადება.

2023 წელს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებები



საქართველოს პროკურატურის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ეფუძნებოდა შემდეგ გარემოებებს:

- 10 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მოთხოვნა უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას;
- 11 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სცილდებოდა საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილების ფარგლებს;
- 15 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილ იყო სხვა პირის პერსონალური მონაცემები და აღნიშნულ შემთხვევაში, საქართველოს პროკურატურის უარი ეფუძნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37[1] და 44-ე მუხლების და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვის ინტერესს;
- 19 შემთხვევაში დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ წარმოადგენდა საქართველოს პროკურატურაში დაცულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გამო წარდგენილი იყო სამი ადმინისტრაციული საჩივარი, საიდანაც 2 დაკმაყოფილდა, ხოლო ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარდგენილია და მიმდინარეობს ერთი სარჩელის განხილვა.
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ნაწილობრივ უარის თქმისას საქართველოს პროკურატურის მიერ მიჩნეულ იქნა, რომ დაინტერესებული პირის მოთხოვნა ნაწილობრივ უკავშირდებოდა სისხლის სამართლის საქმის წარმოებასა და პირის სისხლისსამართლებრივ დევნას, ასევე პირის პერსონალური მონაცემების განსაჯაროებას. ამასთან, ნაწილობრივ მოთხოვნილ იქნა ისეთი ინფორმაცია, რომლის აღრიცხვას საქართველოს პროკურატურა არ აწარმოებდა. შესაბამისად დაინტერესებულ პირს მიეწოდა საქართველოს პროკურატურაში დაცული ინფორმაცია და ასევე ის ინფორმაცია, რომელიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად.

განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე და 83-ე მუხლების მოთხოვნებს.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში 2023 წელს არ გამოვლენილა.
საქართველოს გენერალური პროკურატურა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ეყრდნობოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობა და ინფორმაციის გავრცელება

საქართველოს პროკურატურისთვის, როგორც უწყების სტრატეგიით ასევე სამოქმედო გეგმით საზოგადოებრივი ნდობის ამაღლება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. შესაბამისად, საქმიანობის გამჭირვალობის და საზოგადოებისთვის წინაშე ანგარიშვალდებულების მიზნით, ლეგიტიმური საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისთვის პროაქტიულად ახდენს ინფორმაციების გავრცელებას, როგორც ზოგადი სტატისტიკის, მიმდინარე ტენდენციების, ასევე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ. აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს პროკურატურის მიერ ბოლო წლებში გავრცელებული პრესრელიზების, ვიდეოკომენტარების და ჩატარებული ბრიფინგების რაოდენობა.

2023 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა:

- 481 პრესრელიზი/განცხადება,
- ჩატარდა 6 ბრიფინგი,
- მომზადდა და გაშუქდა 132 ვიდეოკომენტარი,
- დამზადდა 18 კლიპი,
- დამზადდა 100 ვიდეომასალა.

სოციალური გარანტიები და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა სამუშაო მოტივაცია უწყების საქმიანობის პროდუქტიულობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამიტომ აუცილებელია თანამშრომელთა საჭიროებების და მოთხოვნილებების სწორად იდენტიფიცირება და მათთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნა. თანამშრომელთა მოტივაციისთვის მნიშვნელოვანია მათი სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და სამსახურებრივი საქმიანობისთვის საჭირო სათანადო მატერიალურ-ტექნიკური პირობებით აღჭურვა. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს პროკურატურაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2023 წელს სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ამბროლაურის, დასავლეთ საქართველოს საოლქო და ქუთაისის რაიონულ პროკურატურებში, ქვემო ქართლის საოლქო და რუსთავის რაიონულ პროკურატურაში, ბათუმის, ოზურგეთის, ხელვაჩურის, ახალქალაქის და ხაშურის რაიონულ პროკურატურებში. პროკურატურის თანამშრომლებისთვის შეიქმნა თანამედროვედ მოწყობილი და განახლებული სამუშაო სივრცე.

არასრულწლოვნებზე მორგებული გარემო მოეწყო ხაშურის, ახალქალაქის, ქუთაისის და ამბროლაურის რაიონულ პროკურატურებში.

2023 წელს დაიწყო თბილისის და თბილისის რაიონული პროკურატურების ახალი ოფისის მშენებლობა. ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის I და II სართულების ნაწილისა და ფასადის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის თანამედროვე, განახლებული და სათანადო ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი სამუშაო სივრცეების მოწყობა მომავალ წელსაც გაგრძელდება.

საქართველოს პროკურატურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2023 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს პროკურატურის და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

პროკურატურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა საქართველოს გენერალური პროკურატურის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსურ ანგარიშგებებს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოთქვა პირობითი მოსაზრება აუდიტის პერიოდში გამოვლენილი საკითხების გათვალისწინებით, რაც მიუთითებს, რომ საქართველოს პროკურატურის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

საპროკურორო საბჭოს რეკომენდაციების შესრულება

,,პროკურატურის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-13 პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის და ,,საპროკურორო საბჭოს დებულების" მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მისი სახელმძღვანელო პრინციპების განსაზღვრის, პროკურატურის საქმიანობის ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით საპროკურორო საბჭო საქართველოს გენერალურ პროკურორს წარუდგენს რეკომენდაციებს.

2022 წლის 6 დეკემბერს საპროკურორო საბჭომ საქართველოს გენერალურ პროკურორს წარუდგინა 6 რეკომენდაცია.

რეკომენდაცია N1

საქართველოს პროკურატურის 2022-2027 წლების სტრატეგიის თანახმად, პროკურატურის მიზანია 2022-2027 წლებში გაიზარდოს ცალკეულ, სპეციფიკურ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა. აღნიშნულ სტრატეგიაში მითითებული დანაშაულებთან ერთად თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე ეფექტიანი გამოძიებისა და საპროცესო ხელმძღვანელობის უზრუნველსაყოფად, გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

- საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა შეიმუშავა თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციები. აღნიშნული ანალიზი რეკომენდაციებით წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით 2023 წლის 28-29 ნოემბერს კაჭრეთში გამართულ საქართველოს პროკურატურის მენეჯმენტის გასვლით წლის შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანო- სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო.

რეკომენდაცია N2

დანაშაულის პრევენციისა და საზოგადოებრივი ნდობის ამაღლების მიზნით პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში აქტიურად გაგრძელდეს ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობისა და გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების წინააღმდეგ წარმოებული კამპანია „არა ფემიციდს“, რომლის დროსაც საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების მიზნით, გაიმართოს შეხვედრები სხვადასხვა ასაკისა და სფეროს წარმომადგენლებთან.

- საქართველოს პროკურატურაში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) წინააღმდეგ მასშტაბური საინფორმაციო კამპანია „არა ფემიციდს“ ჩატარდა. ფემიციდის წინააღმდეგ საინფორმაციო კამპანიის მიზანს, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია წარმოადგენდა. კამპანიის ფარგლებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა. ჯამში კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 243 ღონისძიება. ფემიციდის კამპანიის შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია ანგარიშში.

რეკომენდაცია N3

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამართულად ფუნქციონირებისთვის საქართველოს პროკურატურის მიერ გატარდეს ქმედითი ღონისძიებები, აღნიშნული ინსტიტუტის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და უწყების თანამშრომლების პროფესიული განვითარების მიმართულებით.

- საქართველოს პროკურატურისა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საქართველოში, ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის და სახელმწიფო დეპარტამენტის INL პროგრამის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის დანაყოფების პროკურორებისთვის 2023 წელს დაიწყო ტრენინგების ციკლი სასამართლო უნარ-ჩვევების საკითხებზე. საქართველოს პროკურატურის თანამშრომლებისთვის ტრენინგი ჩატარდა 7 რეგიონში. საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს და ამერიკელი მოსამართლეების მონაწილეობით მართლმსაჯულების საკოორდინაციო საბჭოს (bench & bar) 2 სამუშაო შეხვედრა გაიმართა. მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ცნობადობისა და საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლის მიზნით 2023 წლის ივნისში გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან.

რეკომენდაცია N4

პროკურორების დისკრეციული უფლებამოსილების და მათი მხრიდან ლიბერალური მიდგომის გამოყენების არეალის გაზრდის მიზნით, გადაიხედოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული იმ კატეგორიის დანაშაულების მიმართ, სადაც დამამძიმებელ გარემოება - „მნიშვნელოვანი ზიანი“ გამოწვეულია ნივთის 150 ლარზე მეტი ღირებულებით. მიზანშეწონილი იქნება პროკურორებს მიეცეთ რეკომენდაცია, რომ ასეთი დამამძიმებელი გარემოების არსებობის შემთხვევაში, თუ მიყენებული ზიანი, მკვეთრად არ აღემატება კანონით განსაზღვრულ 150 ლარს, იგი არ უნდა იქნას შეფასებული, როგორც ბრალდებულის ცალსახად, შედარებით მკაცრად დასჯის განმაპირობებელ მაკვალიფიცირებელ გარემოებად.

- საქართველოს პროკურატურაში მიმდინარეობდა მუშაობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშულების მარეგულირებელ ნორმებში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებები სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის ცვლილებას მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობის გაზრდის და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ცნების დამატების ნაწილში. აღნიშნული ცვლილებების პროექტი წარდგენილ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და ამერიკის იუსტიციის დეპარტამენტის მხარდაჭერით 2023 წლის 28-29 ნოემბერს კაჭრეთში გამართულ საქართველოს პროკურატურის მენეჯმენტის გასვლით წლის შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც ასევე ესწრებოდა საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედო სათათბირო ორგანო- სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭო.

რეკომენდაცია N5

პროკურატურის სისტემაში მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევის, მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების სრულყოფის, სტაჟირების პროცესზე ზედამხედველობისა და სტაჟიორთა შეფასების მიზნით, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში შექმნილი საქართველოს პროკურატურის სტაჟირების გავლის კომისიის ფუნქციები, შეითავსოს და განახორციელოს საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედმა სათათბირო ორგანომ – კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭომ.

- საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 26 აგვისტოს N040 ბრძანებით დამტკიცებულ ,,საქართველოს პროკურატურაში სტაჟირების გავლის წესის“ მე-3 მუხლში, რომელიც განსაზღვრავდა სტაჟირების კომისიას შემადგენლობას, საქართველოს გენერალური პროკურორის 2023 წლის 21 ივნისის N 008 ბრძანებით განხორციელდა ცვლილება და კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად: -,,კომისიის შემადგენლობაში შედიან გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საპროკურორო საბჭოს 8 პროკურორი წევრი, საქართველოს გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის, ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტისა და საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსები. სტაჟირების წესში შეტანილი ამ ცვლილების შესაბამისად, სტაჟირების კომისიის წევრები გახდნენ საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს კანონით განსაზღვრული წევრები. საქართველოს პროკურატურაში 2023 წლის სტაჟირების კონკურსი და სტაჟიორებთან გასაუბრება სწორედ სტაჟირების კომისიის ახალმა შემადგენლობამ ჩაატარა.
  2023 წლის 30 ნოემბერს კი „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (გამოქვეყნდა 2023 წლის 19 დეკემბერს) განხორციელდა ცვლილება და სტაჟირების კომისიის უფლებამოსილება მიენიჭა - საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს კარიერის მართვის, ეთიკისა და წახალისების საბჭოს. საბჭოს უფლებამოსილებაა სტაჟიორთა შერჩევა, სტაჟირების პროცესზე ზედამხედველობა და მათი შემდგომი შეფასება.

რეკომენდაცია N6

საპროკურორო საბჭოს ფუნქციათა გაზრდისა და საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, საბჭოს უფლებამოსილებას

მიკუთვნებულ საკითხთა განხილვა/გადაწყვეტა განხორციელდეს საპროკურორო საბჭოს წევრების აქტიური მონაწილეობით.

- საქართველოს გენერალური პროკურორის მუდმივმოქმედი სათათბირო ორგანოს – სტრატეგიული განვითარებისა და სისხლის სამართლის პოლიტიკის საბჭოს ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საბჭო აქტიურად არის ჩართული პროკურატურის საქმიანობაში. 2023 წელს ჩატარდა 9 სხდომა და საბჭომ მოისმინა თბილისის პროკურორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის, ქვემო ქართლის, კახეთის, შიდა ქართლისა და მცხეთა მთიანეთის, სამეგრელო ზემო სვანეთის საოლქო პროკურორების 2022 წლის საქმიანობის ანგარიშები. საბჭომ ასევე განიხილა ,,საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა რანგირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გენერალური პროკურორის 2020 წლის 21 აგვისტოს N036 ბრძანებაში შესატანი ცვლილებების პროექტები. საბჭოს წევრები ესწრებოდნენ 2023 წლის 28-29 ნოემბერს კაჭრეთში ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის ჩართულობით გამართულ საქართველოს პროკურატურის მენეჯმენტის გასვლით წლის შედეგების შემაჯამებელ სამუშაო შეხვედრას.